საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი-კვირა, 13-16 ოქტომბერი. 2022 წ. №161 (9499) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლ-ევიკი სიფცვაა, ფეიერვერკით და ჭიანურობით ბუტ-თის გაფანა ყველა უკიდურესობაზე უსაძაგლესია.

ქერჩის ხიდის აფეთქებაში ქართველებიც მონაწილეობდნენ?

იხ. 3 გვ.

რუსეთის სპეცსამსახურების ბრალდებასთან საქართველოს არანაირი შემხებლობა არა აქვს

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ, რუ-სეთის სპეცსამსახურების ბრალდებებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.

„საქართველოს ამ საკითხთან არანაირი შემხებლობა არა აქვს, რო-გორც ტრანზიტული, ასევე არატრანზიტული ტვირთები საქართველო-ში გადის საბაჟო კონტროლს, და მსგავსი საეჭვო ფაქტი არ დადასტურე-ბულა“, — აცხადებს ალექსანდრე დარახველიძე.

რა არის ტაქტიკური ბირთვული იარაღი, რომლითაც პუტინი იმუქრება?

იხ. 6 გვ.

სინამდვილე თუ დასავლური ბაქიბუქი?! 7

იხ. 3 გვ.

კადიროვს თბილისამდე გზა სჭირდება?

„ეფესბემ“ ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვარზე კონტროლი შეასუსტა

უკრაინის ქალაქების დაბომბვა მილიარდები ჯდება

უკრაინის ტერიტორიაზე 10 ოქტომ-ბერს განხორციელებული მასირებული სარაკეტო იერიში რუსეთს 400-იდან 700 მლნ აშშ დოლარამდე დაუჯდა.

რუსეთმა უკრაინას 84 რაკეტა ესროლა, და 24 უპ-ილოტო საფრენი აპარატი გამოიყენა.

რაკეტების ფასი განსხვავებულია, უკრაინას X-101, X-555, „კალიბრის“, „ისკანდერის“, „ტორნადოს“ და შ-300-ის ტიპის რაკეტები ესროლეს.

X-101 13 მლნ დოლარი ღირს, „კალიბრი“ 6,5 მლნ დო-ლარი, „ისკანდერი“ — 3 მლნ დოლარი, „ტოჩკა-უ“ — 300 ათასი დოლარი. რაც შეეხება დრონებს, მათი ფასიც რამდენიმე მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

ასევე, დაითვალა, რომ ომის პირველ 2 თვეში რუსეთ-მა უკრაინას 1300 რაკეტა ესროლა, რომელთა ფასი 7,5 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.

ვასტანგ ბადაგაძე — ღრმად მოაზროვნე, უკეთილშობილესი მეცნიერი და ადამიანი 5



არ შეშინდეთ, სტუდენტებო!

ბინის გაქირავების ფასი შემცირებას დაიწყებს და გაზაფხულზე სულ სხვაგვარი ვითარება იქნება



11

ქალბატონმა ურსულამ, თქვენზეა დამოუკიდებული ევროკავშირის წევრობაო...

„უკრაინა და მოლდოვა ახლა ჩვენს კავშირში გაწევრიანების კანდიდატები არიან. ჩვენ ვაღიარეთ საქართველოს ევროპული პერსპექტივაც. ცვლილებების ქარმა კიდევ ერთხელ დაუბერა ევროპაში, ისევე, როგორც 1970-იან წლებში, როდესაც ესპანეთმა, პორტუგალიამ და საბერძნეთმა აირჩიეს დემოკრატია ან როცა თავისუფლებისთვის მებრძოლებმა დაანგრიეს ბერლინის კედელი. რა თქმა უნდა, კანდიდატ ქვეყნებზეა დამოკიდებული მათი ეკონომიკებისა და ინსტიტუტების რეფორმირება და ჩვენი კავშირისკენ წინსვლა. მაგრამ ჩვენი პასუხისმგებლობაა მათი მხარდაჭერა ყველა შესაძლო გზით. ეს არის ევროპის მომენტი. ჩვენზეა დამოკიდებული ამ მომენტის გამოყენება“, – აღნიშნა ევროკავშირის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა. მისი განცხადებით, როგორც ევროკავშირი, ისე მისი მეზობელი ქვეყნები საერთო გამოწვევების წინაშე დგანან, როგორიცაა რუსეთის აგრესია, ენერგეტიკული დაუცველობა, კლიმატური ცვლილებები და საფრთხეები ღია საზოგადოებებისთვის. მისი თქმით, ევროკავშირმა უნდა იმუშაოს ყველა პარტნიორთან ერთად, მათ შორის მათთან, ვისაც არ სურს კავშირში გაწევრიანება.

„გაბედულობით ევროპისათვის“!

14-15 ოქტომბერს ბერლინი ევროპელი სოციალ-დემოკრატების პარტიის საერთაშორისო კონგრესს უმასპინძლებს. კონგრესი PEI-ის 30 წლის იუბილეს მიეძღვნება და მასში მონაწილეობას ევროპის ქვეყნების მთავრობათა ლიდერები და პარტიების ხელმძღვანელი პირები მიიღებენ.

„ქართული ოცნების“ დელეგაციას პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს, მასთან ერთად ევროპელი სოციალ-დემოკრატების პარტიის კონგრესს დაესწრებიან: საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მაკა ბოჭორიშვილი, ფრაქცია “ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ჩიქოვანი და “ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე, აგრარულ საკითხთა კომიტეტისა და პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი.

კონგრესის დევიზია „გაბედულობით ევროპისათვის“, რომლის დროსაც PEI-ის ლიდერები ევროპელი სოციალ-დემოკრატების პარტიის 30 წლის გამოცდილებას შეაჯამებენ. მონაწილეები, ასევე, საერთაშორისო უსაფრთხოების, კოვიდ კრიზისის, კლიმატის ცვლილებების, სოციალური გამოწვევების, ენერგორესურსებზე ფასებისა და ინფლაციის ზრდის საკითხებზე იმსჯელებენ.

წმინდა ნინოს ხატი – პრეზიდენტისგან

საძართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ბუქარესტში, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, წმინდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის მონასტერს ეწვია.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, ზურაბიშვილს ტაძარში პატრიარქის ქორეპისკოპოსმა ვარლაამ პლოიეშტიანუმ უმასპინძლა, ტაძრის ისტორიის შესახებ იმ მნიშვნელოვანი მომენტების შესახებ ესაუბრა, რომელიც ანთიმოზ ივერიელის სახელსა და კულტურის, განათლებისა და ხელოვნების სფეროებში მის მოღვაწეობას ეხება.

აღინიშნა, რომ საქართველო-რუმინეთის მეგობრობა საუკუნეებს ითვლის, რაც ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ ტრადიციებს ეფუძნება და ორი ქვეყნის მეგობრობის განმტკიცებაში ანთიმოზ ივერიელის როლი უმნიშვნელოვანესია.



სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე, სპეციალურად მოწყობილ „ქართულ ოთახში“ საქართველოს პრეზიდენტმა მონასტერს საჩუქრად წმინდა ნინოს ხელნაწერი ხატი გადასცა.

სეპარატისტული რეგიონების მოქალაქეები რუსული პასპორტით ვერ იმოგზაურებენ

ევროკავშირის ელჩები საქართველოსა და უკრაინის სეპარატისტულ რეგიონებში გაცემული რუსული სამოგზაურო დოკუმენტების მიუღებლობაზე შეთანხმდნენ.

ევროკავშირის ინფორმაციით, დიპლომატები შეთანხმდნენ ევროპარლამენტთან მოლაპარაკებების მანდატზე, რაც არის პასუხი რუსეთის გაუმართლებელ სამხედრო აგრესიაზე უკრაინის წინააღმდეგ და რუსეთის ცალმხრივ გადაწყვეტილებაზე საქართველოს ტერიტორიების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების მიხედვით, რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში, უკრაინაში ან საქართველოს სეპარატისტულ ტერიტორიებზე გაცემული რუსული სამგზავრო დოკუმენტები არ მიიღება ვიზის მისაღებად ან შენგენის ზონის საზღვრების გადაკვეთისთვის.

გამოუსწორებელი ოპოზიციონერის შეგონებანი

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“...

დედამიწის ზურგზე 200-ზე მეტი სახელმწიფოა, რომლებშიც სხვადასხვა რაოდენობით გაერთიანებულია 2000-მდე ეროვნების ხალხი. ისინი ძირითადად ცხოვრობენ თავიანთ მიწა-წყალზე, არიან აბორიგენები. ზოგს აქვს მოკავშირე რესპუბლიკის, ზოგს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი. აქვთ საკუთარი მმართველობა.

ისტორიაში არსებობდნენ სხვადასხვა წყობილების სახელმწიფოები: მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური... გაიელვა ანარქიულმა ფორმამ, რომელიც ქვეყანაში უკანონობის, უწესივრობის განსახიერება იყო. ვერც ერთმა მათგანმა ფეხი ვერ მოიკიდა – ხალხმა არ მიიღო და ისტორიას ჩაბარდა.

XV-XVII საუკუნეებში, დიადი გეოგრაფიული აღმოჩენების, – ბინადარი კონტინენტების და უკაცრიელი კუნძულების აღმოჩენების ეპოქაში – კოლონიური უღლისაგან თავის დაღწევის შემდეგ, აღმოცენდნენ ახალი სახელმწიფოები, ახალი ნაციბით.

მე-20 საუკუნის დასაწყისში გაჩნდა სახელმწიფო მმართველობის ახალი ფორმები: სოციალისტური (სსრკ), საპარლამენტო – მონარქისტული (ინგლისი), საპრეზიდენტო (აშშ), ფაშისტური (ნაციონალ-სოციალისტური – გერმანია). გამყარდა მონარქისტული წყობა არაბულ ქვეყნებში.

საქართველო დღეს საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე გაიზარდა პარლამენტის უფლებები. პარლამენტის დეპუტატებს და პრეზიდენტს ვირჩევთ საყოველთაო სახალხო არჩევნებით.

საქართველოში პარლამენტის დეპუტატების და პრეზიდენტის პოლიტიკური მოვალეობაა ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა, რასაც მათ მთელი საზოგადოება აკისრებს! მაგრამ, როდესაც პარლამენტის უმრავლესობის ზოგი, ფსევდო, ვითომდა რენეგატი, ჯანსაღი პოლიტიკური ცნობიერების მოღალატე, თითქმის რუსული ნარატივის მხარეზე გადასული დეპუტატები პარტია „ქართული ოცნებიდან“, კონსტიტუციას და მასში შემავალ კანონებს უგულვებელყოფენ და ჩვენს მთავარ პარტნიორს აგინებენ ამერიკის ელჩს, უტეხი და ძლიერ დიპლომატს, ქალბატონ კელი დეგნანს კრიჭაში უდგანან, რაზე უნდა ილაპარაკო!

ეს დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება კი არა, ეს აშკარა მავნებლობაა!

ეს „ხალხის ძალა“ და ხალხის ხმა კი არა, ხალხის ღალატია!..

ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობაზე ასე არ უნდა ზრუნავდეთ, ძვირფასო პარლამენტარებო!

როგორც დიდი პოეტი გვასწავლის, „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“!

ოთარ შონია,
არქიტექტორი
(მობ. 571 39 05 92)

P.S. **ღალადი იმისა, რომ ყოფილი ხელისუფალნი არ გვჭირდება, ხელისუფლებაში ახალი ძალა, მხოლოდ ახალგაზრდები უნდა მოვიდნენო – მცდარია! ხელისუფლებაში ნამყოფებს, ღირსეულთ, გამოცდილებს, ალღოიანებსაც უნდა მივუჩინოთ ადგილი.**

ქკუა თავშია და არა ხანში, ყველა ერთ ქვაბში არ უნდა მოვხარშოთ! მათ ყველაზე უკეთ იციან, სად იყო შეცდომები დაშვებული, ახალგაზრდებსაც ასწავლიან და სწრაფადაც გამოსწორდება ადრე დაშვებული შეცდომები!

ო. შ.

„გაგრის ჯგუფის“ სამი წევრი სასამართლომ დამნაშავედ ცნო

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში“ შეყვანილი, ე.წ. „გაგრის ჯგუფის“ სამი წევრი სასამართლომ, ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობაში, ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი მკვლელობის მცდელობაში, მძევლად ხელში ჩაგდებასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, შენახვა, ტარება, გადაზიდვაში დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებულებმა 1999 წლიდან 2004 წლამდე პერიოდში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მოქალაქეთა მკვლელობის მცდელობა ჩაიდინეს. ასევე, ბრალდებულებმა ყაჩაღური თავდასხმის გზით მოქალაქეებს გასტაცეს პირადი ნივთები და ძვირფასეულობა.

გარდა ამისა, ე.წ. „გაგრის ჯგუფის“ წევრებმა, გალის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა პირებს, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და მძევლად აიყვანეს, რის შემდგომაც ოჯახის წევრებისგან მათ გასათავისუფლებლად მოითხოვეს გამოსასყიდი თანხა.

მათ ბრალდება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, გადაზიდვის, განზრახ მკვლელობის მცდელობის, ყაჩაღობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის, მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტებზე წარედგინათ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ, რის შემდეგ მათ მიმართ გამოცხადდა ძებნა.

სასამართლომ სამივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად 12-12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მათ საბოლოოდ განესაზღვრათ 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ᲥᲔᲠᲩᲘᲡ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲐᲤᲔᲗᲘᲥᲔᲑᲐᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ?

რუსეთის ფსბ-მ ქერჩის ხიდზე მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით რვა ადამიანი დააკავა, აფეთქების ორგანიზატრად კი უკრაინის დაზვერვის მთავარ სამმართველოს ასახელებს, – იუწყება კრემლის პროპაგანდისტული მედიარესურსი. ამასთან, თანამონაწილეებს შორის ასახელებენ საქართველოს ორ მოქალაქეს.

„ყირიმის ხიდზე აფეთქების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დააკავეს რუსეთის ხუთი, უკრაინისა და სომხეთის სამი მოქალაქე, რომლებიც დანაშაულის მომზადებაში მონაწილეობდნენ“, – ნათქვამია შეტყობინებაში.

როგორც იუწყებიან, **ფსბ** რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტთან ერთად მივიდა დასკვნამდე, რომ ყირიმის ხიდზე აფეთქებას „ორგანიზება გაუწიეს“ უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთავარმა სადაზვერვო სამმართველომ, მისმა ხელმძღვანელმა კირილ ბუდანოვმა, თანამშრომლებმა და აგენტებმა.

რუსული სპეცსამსახურების ვერსიით, ასაფეთქებელი მოწყობილობა პოლიეთილენის რულონებში იყო შენიღბული, რომელთა საერთო წონა 22 ტონაზე მეტი იყო და აგვისტოს დასაწყისში ოდესის პორტიდან ბულგარულ რუსეში გაიგზავნა და რომ ტვირთის გადაზიდვაში მონაწილეობდნენ უკრაინის, საქართველოს და სომხეთის მოქალაქეები.

რუსული ფსბ ირწმუნება, რომ ტვირთის ბულგარულიდან ქართულ პორტში გადმოტანაში და შემდეგ სომხეთში გადაზიდვაში ჩართულები იყვნენ უკრაინის მოქალაქეები მიხაილ ციურკალი (დაბადებული 1975 წელს), დენის კოვაჩი (1979) და რომან ივანოვიჩ სოლომკო (1971), საქართველოს მოქალაქე სანდრო ინასარიძე და ბროკერი სახელად ლევანი და სომხეთის მოქალაქე არტურ ტერჩანიანი (1985 წ.).

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მტკიცებით, ტვირთი 29 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე განაბაჟეს ერევნის ტერმინალში და მოხდა დოკუმენტების შეცვლა, რის შემდეგაც ტვირთის გამგზავნი გახდა სომხეთში რეგისტრირებული კომპანია „გუ არ ჯი გრუპი“, ხოლო მიმღები მოსკოვში რეგისტირირებული „ლიდერი“.

უწყებისვე ვერსიით, **ამის შემდეგ საქართველოში დარეგისტრირებული სატვირთო ავტომანქანა DAF-ით ტვირთმა 4 ოქტომბერს გადაკვეთა რუსეთ-საქართველოს საზღვარი „ზემო ლარსის“ პუნქტში, 6 ოქტომბერს ჩაიტანეს და გადმოტვირთეს კრასნოდარის მხარის ქალაქ არმავირის საბითუმო ბაზაზე, ხოლო 7 ოქტომბერს რომან სოლომკოს, უკრაინის კიდევ ერთი მოქალაქის – ვლადიმირ ზლობას და რუსეთის 5 მოქალაქის დახმარებით, ტვირთის დოკუმენტები ისევ შეიცვალა და გამგზავნად მიუთითეს ქალაქ ულიანოვსკში რეგისტრირებული კომპანია „ტეკ-34“, ხოლო მიმღებად ყირიმში არარსებული ფირმა. 7 ოქტომბერს ტვირთი გადაიტანეს რუსეთის მოქალაქის მახირ იუსუბოვის სატვირთო ავტომანქანაში, რომელიც სიმფეროპოლისკენ გაემართა, 8 ოქტომბერს კი ხიდზე მისი აფეთქება განხორციელდა.**

ᲐᲛᲒᲕᲐᲠ ᲢᲔᲠᲐᲥᲢᲔᲑᲨᲘ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲡ!

„სარწმუნოდ დამტკიცებულია, რომ ყირიმის ხიდზე აფეთქებული სატვირთო მანქანა არასდროს ყოფილა ბულგარეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელიც მითითებულია მისი მარშრუტის საწყის წერტილად“, – განაცხადეს ბულგარეთის მთავრობის პრესსამსახურში. განცხადების თანახმად, ბულგარეთის მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, რომ მისი ქვეყნის სახელი ასოცირებული იყოს ტერორისტულ საქმიანობასთან რამე სახის კავშირთან.

რუსული მედიის ცნობით, 8 ოქტომბერს აფეთქებული სატვირთო მანქანით პოლიეთილენი გადაჰქონდა. **ბულგარული სამსახურების შემოწმებამ დაადგინა, რომ ანალოგიური მახასიათებლის საქონელი ბულგარეთის ტერიტორიაზე ევროკავშირის წევრი ქვეყნიდან კონტეინერით შევიდა ტრანზიტის რეჟიმით შესაბამისად გაფორმებული დოკუმენტებით. ბულგარეთში აღნიშნული საქონლის ყოფნის პერიოდში ის იმყოფებოდა საბაჟო კონტროლის ქვეშ და ქვეყანა იმავე კონტეინერით ბურგასის პორტიდან 17 სექტემბერს დატოვა სხვა ქვეყნის მიმართულებით, რუსეთის გარდა. შემოწმებამ მკაფიოდ აჩვენა, რომ ის კონტეინერი, რომლითაც საქონელი ბულგარეთიდან გავიდა, აფეთქებულ სატვირთო მანქანაში არ ყოფილა. საქმესთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია გადაეცა პროკურატურას.**

ᲙᲐᲓᲘᲠᲝᲕᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲒᲖᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ?

„ᲔᲤᲔᲡᲑᲔᲛ“ ᲩᲔᲩᲜᲔᲗᲘ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲨᲔᲐᲡᲣᲡᲢᲐ

რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა (ფსბ) ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვარზე კონტროლი შეარბილა. სპეცსამსახურების ბრძანებით, სასაზღვრო ზონისგან გამოყოფილია ტერიტორია, სადაც ისტორიული ობიექტებია განლაგებული. მათი მონახულება შეუთანხმებლადაა შესაძლებელი.

„რადიო თავისუფლების“ პროექტ „კავკაზ რეალიის“ ჟურნალისტი შეეცადა გაერკვია, რა დგას ამ შემსუბუქების უკან და აისახება თუ არა ეს ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოს შორის გადაადგილების გამარტივებაზე.

„ეფესბეს“ განმარტებით, ჩეჩნეთის მაღალმთიან იტუმ-კალის და შაროის ოლქების რამდენიმე სოფელთან სასაზღვრო ზონაში შეზღუდვები მოიხსნა. კერძოდ, გამარტივდა გადასასვლელი კურორტ ვედუჩისა და ცოი-პედეს ისტორიულ კომპლექსში, რომელიც „მიცვალებულთა ქალაქის“ სახელითაა ცნობილი.

შუა საუკუნეების ეს ნეკროპოლისი ერთ-ერთი უდიდესია ჩრდილოეთ კავკასიაში და რუსეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაშია შეტანილი. აქ არის XIII-XV საუკუნეების 42 სამარხი. აკლდამების ზემოთ რუსი სამხედროების მიერ დანგრეული საბრძოლო კოშკი დგას.

ისტორიული ობიექტი საქართველოს საზღვრიდან სულ რაღაც ერთ კილომეტრში მდებარეობს. შაროის რაიონის სოფელ კესელოიში არსებული ნაშთები საქართველოს საზღვრიდან 20 კილომეტრითაა დაშორებული. აქედან უახლოესი გასასვლელი ჩეჩნეთის მყინვარის, თებულოს მთისკენაა. ქედის მეორე მხარეს კი თუშეთია. 2018 წელს თებულოს მთაზე იმ ჩეჩენი მთამსვლელების ასვლის შესახებ გახდა ცნობილი, რომლებიც წვრთნას გუდერმესის ე.წ. რუსული სპეცრაზმის უნივერსიტეტში გადიოდნენ.

ჩეჩნეთის ხელმძღვანელობას არაერთხელ გამოუხატავს სურვილი საქართველოს სიახლოვეს სასაზღვრო ზოლის შევიწროების შესახებ. 2020 წელს ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაურმა რამზან კადიროვმა ეს თემა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის რესპუბლიკური სასაზღვრო დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ევგენი ტრუხანოვთანაც განიხილა. მან განმარტა, რომ სასაზღვრო ზონაში შემავალი სოფლების მცხოვრებლებს გადაადგილება ეზღუდებათ, მათთვის ახლობლების მონახულებაც კი გართულებულია.

გროზნომ შეზღუდვის ზომების შემსუბუქება წარმოაჩინა, როგორც ჩეჩნეთის მთიან ნაწილში ტურიზმის განვითარებისთვის პირობების შექმნის წინაპირობა. მაგრამ აქ არის კიდევ ერთი ასპექტი – საქართველოსთან საზღვარი შევიწროებულია რაიონში, სადაც 1990-იან წლებში, იჩქერიის არაღიარებული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, მეზობელ სახელმწიფოსთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა გაიჭრა, აქ ოფიციალური გამშვები პუნქტები არ არის.

ᲨᲝᲠᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ

ჩეჩნეთის ხელისუფლებამ არაერთხელ გამოხატა სურვილი ცოი-პედში რუსეთ-საქართველოს სასაზღვრო გამშვები პუნქტის ორგანიზების შესახებ. თბილისში ამ საკითხზე უკანასკნელად კომენტარი 2022 წლის მარტში გააკეთეს. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრომ მაშინ განაცხადა, რომ არასოდეს განუხილავთ და არ განიხილავენ საქართველოს ჩეჩნეთთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობის საკითხს.

ახალი გადასასვლელის გახსნის აუცილებლობას ჩეჩნური მხარე რუსეთ-საქართველოს შორის ამჟამად ჩრდილოეთ ოსეთის გავლით მოქმედი ერთადერთი გამშვები პუნქტის არასტაბილურობით ხსნის.

* * *

ჩეჩნეთზე გამავალი შეთავაზებული გზა კი, მათი თქმით, მთელი წლის განმავლობაში სტაბილურია და არ არის დამოკიდებული ამინდზე, არ არის სიმაღლის ცვალებადობა და ზვავსაშიშროება ან ქვათა ცვენა, შატილის ტერიტორიაზე გამავალი მცირე მონაკვეთის გარდა.

საქართველოსკენ გადასასვლელის გახსნის სურვილი დაღესტანსაც აქვს. მაჰაჩყალაში წუნთის რაიონში ავაროკახეთის მიტოვებული გზის აღდგენა სურთ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მარშრუტის ერთ-ერთ მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოებიც კი დაიწყო ისე, რომ ამ საკითხზე თბილისის მოსაზრებით არ დაინტერესებულა.

საქართველოს დამატებითი პრობლემები არ სჭირდება რუსეთიდან ახალი გამშვები პუნქტების გახსნით, მით უფრო ჩეჩნეთიდან, ამბობს თბილისში არსებული ორგანიზაცია Open Caucasus Media-ს აღმასრულებელი დირექტორი დომინიკ ცაგარა.

„ჩეჩნეთსა და საქართველოს შორის გამშვები პუნქტის გახსნის საკითხი ვიწრო საექსპერტო ჯგუფებს მიღმა არასოდეს განხილულა. პირდაპირი გასასვლელი ჩეჩნეთს გარე სამყაროსთან კავშირის შესაძლებლობას მისცემდა დიდი კრიზისის შემთხვევაში, როგორიცაა ახალი ომი. საქართველოს კი არ აინტერესებს ასეთი პუნქტი“, – განაცხადა ცაგარამ.

რუსეთთან ახალი სასაზღვრო გამშვები პუნქტის განხილვა შესაძლებელია მხოლოდ იმ ტერიტორიების გათავისუფლების შემდეგ, რომლებსაც თბილისი ოკუპირებულად მიიჩნევს – ესენია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკები, აცხადებს, „საქართველოს სტრატეგიული კვლევების ცენტრის“ ანალიტიკოსი გელა ვასაძე და აღნიშნავს: **„მე საქართველოსა და ჩეჩნეთს, ინგუშეთს, დაღესტანს შორის ახალი გზების არსებობის მომხრე ვარ. მაგრამ ეს რუსეთის მოქმედი რეჟიმის პირობებში არ მოხდება“...**

ᲛᲐᲐᲖ ᲑᲘᲚᲐᲚᲝᲕᲘ

დედაქალაქის სადაგი დღეები

თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის წინ მდებარე ტერიტორიაც განახლდება

თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის წინ არსებული ტერიტორია იერსახის უცვლელად, სრულად აღდგება და განახლდება, — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მისივე თქმით, სამუშაოების ფარგლებში, მაქსიმალურად შენარჩუნდება პირვანდელი სახე და განახლდება თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული ე.წ. წყლის ფარდა.

თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, სრულად განახლდება საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ არსებული შადრევანიც. შადრევნის სარეაბილიტაციოდ შესაბამისი ღონისძიებების გატარება დედაქალაქის მერმა შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ წარმომადგენლებს დაავალა.

„ტერიტორიაზე არსებული შადრევანი მუნიციპალიტეტის მოვლა-პატრონობაშია. შადრევნის გაყვანილობის დაზიანების გამო, ზიანდება მომიჯნავე სივრცე, რომელშიც სცენის და სავენტილაციო შახტებია განთავსებული. ასევე, დეფორმირებულია შენობასთან ასასვლელი კიბე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაიგეგმა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს ტერიტორიის აღდგენას. პირვანდელი სახე მაქსიმალურად შენარჩუნდება, რადგან შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს. განახლდება ე.წ. წყლის ფარდა, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიაზე წლების წინ არსებობდა. გარდა ამისა, ამორტიზებული გრანიტი მოპირკეთდება, აღდგება მისი მწყობრიდან გამოსული ნაწილი და თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, შადრევნის რეაბილიტაცია ჩატარდება. ძალიან მნიშვნელოვანია ამ სივრცის მოწესრიგება, რადგან ტერიტორიის ამ ფორმით და ასეთ ვითარებაში დატოვება კატეგორიულად მიუღებელია“...

ვაკის პარკი ისევ შექმნის სიყვარულის, მეგობრობისა და ქალაქური თანაცხოვრების საოცარ ისტორიებს

„დღეს, ქალაქს ყველაზე მეტად სჭირდება მწვანე სივრცეები, ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორება და თბილისს ამის ძალიან დიდი რესურსი აქვს. ამ მიმართულებით ბევრ მნიშვნელოვან პროექტს ვახორციელებთ. მათ შორისაა, ვაკის პარკის აღდგენა. სამუშაოების პირველი ეტაპი გასულ წელს დავასრულეთ — ულამაზესი სივრცეა, განახლებული ინფრასტრუქტურით, ხე-მცენარეებით, ყველანაირად მოწესრიგებული, შესაბამისი ატრაქციონებით. თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა ვაკის პარკის რეაბილიტაციის ფარგლებში, მეორე ეტაპზე, არსებული მცირე კასკადისა და მრგვალი შადრევნის რეაბილიტაცია დაასრულა. როგორ იცით, ვაკის პარკში სრული რეაბილიტაცია მნიშვნელოვანი ჩარევებისა და ცვლილებების გარეშე ხორციელდება. მაქსიმალურად აღდგა პარკის პირვანდელი იერსახე“.

...არსებული შადრევნების კასკადი წლების განმავლობაში ამორტიზებული იყო და არ მუშაობდა. ჩვენ გადავწყვიტეთ, კასკადის კონსტრუქციის სრულად განახლება იმავე მასალითა და ვიზუალით, რაც არსებობდა. ამასთან, მთლიანად შეიცვალა წყალმომარაგების სისტემა. დამონტაჟდა სრულიად თანამედროვე ტექნოლოგია, რომელიც ავტომატიზებულია. ასევე, დამონტაჟდა ახალი განათების სისტემა, რომელიც პარკის ვიზიტორებს ნამდვილ სანახაობას შესთავაზებს“...

...მესამე ეტაპი, ცენტრალური კასკადის სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე მიმდინარეობს და მომდევნო წლის გაზაფხულზე მთლიანად დასრულდება. დარწმუნებული ვარ, რომ თბილისის მთავარი პარკი ისევ შექმნის სიყვარულის, მეგობრობისა და ქალაქური თანაცხოვრების საოცარ ისტორიებს. ეს არის ადგილი, რომელმაც გამოზარდა თაობები, სადაც ხდებოდა ადამიანების თავშეყრა, ირჩეოდა ქალაქის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები. ჩვენ ამ აღდგენით, ქალაქის ისტორიას ვაცოცხლებთ, ვუბრუნებთ იმ სიცოცხლეს, რომელიც ვაკის პარკს ჰქონდა. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ დედაქალაქში მსგავსი არაერთი სივრცე გვქონდეს. მომავალ წელს იგეგმება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ადგილის — ვერის პარკის სრული განახლება-რეაბილიტაცია და ისიც დაიბრუნებს თავის ისტორიულ მნიშვნელობას“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ვაკის პარკში მდებარე მცირე კასკადისა და მრგვალი შადრევნის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება 6 500 000 ლარს შეადგენს.

უამრავი გამოწვევაა, პრობლემაა, მაგრამ მთავარია, ვიცით, რა არის გამოწვევა და როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემები

უამრავი გამოწვევაა, უამრავი პრობლემაა, ამას არავინ არ გაურბის და არავინ ამბობს იმას, რომ ყველაფერი ლამაზად არის, ყველაფერი მოწესრიგებულია, მაგრამ ყველაზე მთავარია ვიცით, რა არის მთავარი პრობლემები, რა არის მთავარი გამოწვევა და ვიცით, რა გვინდა, როგორ უნდა გავაკეთოთ და როგორ მოვაგვაროთ ეს მიმართულებები, — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ გუშინდელ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მე ბევრჯერ ვსაუბრობ ამაზე, შეიძლება, ხშირად ვჩანდე, რომ კონკრეტულ პროექტებზე ვსაუბრობდე, მაგრამ იცოდეთ ყველამ, რომ ჩემ უკან დგას 30 ათასამდე თანამშრომელი, ვინც ყოველდღიურად ყველაფერს აკეთებს, რათა ჩვენი ქალაქი იყოს უფრო უკეთესი, ვიდრე არის დღეს, ხვალინდელი თბილისი იყოს უფრო მოწესრიგებული, უფრო გალამაზებული, გამართული ინფრასტრუქტურით, გამართული საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ძალიან ბევრი მწვანე სივრცეებით და ამ ადამიანების როლი, ამ ყველაფერში არის ძალიან მნიშვნელოვანი.

მინდა, დაგარწმუნოთ ერთ რამეში, რომ პირადად მე, ჩემს თანაგუნდელებთან ერთად, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ყველა დაპირება, კონკრეტული პროექტების სახით, რაც გვქონდა წარმოდგენილი საარჩევნოდ, ყველაფერი შესრულდეს. ალბათ საზოგადოება ხედავს, მაქსიმალურად ვცდილობ, ყოველთვის მქონდეს კომუნიკაცია თქვენთან, მოგაწოდოთ ინფორმაციები სხვადასხვა პროექტებზე, სხვადასხვა სამუშაობეზე, ეს არის მნიშვნელოვანი, რათა საზოგადოებას პულსზე ედო ხელი, თუ რა კეთდება ქალაქში, რა პროექტები ხორციელდება. ცხადია, დისკომფორტიც აქვს ამ სამუშაოებს, როდესაც ვსაუბრობთ ინფრასტრუქტურის განახლებაზე, მოწესრიგებაზე, მაგრამ სხვანაირად შეუძლებელია! მადლობა მხარდაჭერისთვის, თანადგომისთვის, რომ ხედავთ, თუ რამხელა სამუშაოები ტარდება აბსოლუტურად ყველა მიმართულებით, ეს იქნება სატრანსპორტო პოლიტიკა, გამწვანება, საბავშვო ბაღაბაღების რეაბილიტაცია, რომელი ერთი მიმართულება ავიღო. არ არსებობს მიმართულება, რომ ჩვენ არ გვქონდეს კონკრეტული პროექტები, კონკრეტული გადადგმული ნაბიჯები. უამრავი გამოწვევაა, უამრავი პრობლემაა, ამას არავინ არ გაურბის და არავინ ამბობს იმას, რომ ყველაფერი ლამაზად არის, ყველაფერი მოწესრიგებულია, მაგრამ ყველაზე მთავარია, რომ ვიცით, რა რის მთავარი პრობლემები, რა არის მთავარი გამოწვევა და ვიცით, რა გვინდა, როგორ უნდა გავაკეთოთ და როგორ მოვაგვაროთ ეს მიმართულებები...

დედაქალაქში საცხოვრებელი ბინები დამატებით 260 ოჯახს დაუკანონდება

თბილისის სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ დამატებით, 260 ოჯახს საცხოვრებელი ბინები დაუკანონდება, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, კერძო საკუთრებაში უკვე რამდენიმე ასეული მილიონის ღირებულების ფართია გადაცემული.



გარდაბანში მზის ენერგიის სადგური აშენდება

საამშენებლო კომპანია, „თბილისი ჰილსი“, რომელიც საქართველოში უნიკალურ და განსხვავებულ კონცეფციას ქმნის, გარდაბნის მუნიციპალიტეტში მდებარე საკუთარ კომპლექსში, 7 000 კვ.მ ფართობზე ნახევარი მეგავატი მოცულობის მზის ენერგიის პარკს ააშენებს. მშენებლობისთვის 0,5 მლნ დოლარია გამოყოფილი. პარკის მშენებლობის ნებართვა უკვე შეთანხმებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტთან.

„თბილისი ჰილსი“ ერთ-ერთი პირველია ამ ტრენდის დანერგვაში. მზის ენერგიის გამოყენება მომავალში კიდევ უფრო აქტუალური გახდება, როგორც ეს ელექტროენერგიის მილების სუფთა წყარო“, — აცხადებენ კომპანიის მარკეტინგის სამსახურში. ეს ფაქტი კომპანიის კორპორაციული პასუხისმგებლობის, უდავოდ სამაგალითო გამოხატულებაა. მათი მიზანი პროექტის ტექნოლოგიური ინოვაციებისა და განახლებადი ენერგიის კუთხით განვითარებაა. გარემოს დაცვის კუთხით ევროპა დიდი ხანია მსგავს ინვესტიციებს ახორციელებს, ვიმედოვნებთ, რომ „თბილისი ჰილსს“ ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდება.

რაჭულ ლოკოკინას ევროპელები მიირთმევენ

ძართველმა ფერმერებმა ბოლო დროს ლოკოკინების მოშენებას მიჰყვეს ხელი, გურიასა და სამეგრელოში რამდენიმე ფერმა უკვე წარმატებით მუშაობს. როგორც ირკვევა, იქაური კლიმატი განსაკუთრებულია მუცელფეხიანთა ჯგუფის წარმომადგენლებისთვის.

აღსანიშნავია, რომ მათი მოშენება მაღალმთიან რაჭაშიც დაიწყეს. ფერმერმა თამაზ დვალმა საცდელად მოაშენა ლოკოკინა, დაახლოებით 400 000 კვ.მ-ზე. რომელიც შემდგომ იტალიაში, პორტუგალიას და საფრანგეთში გაიტანა ექსპორტზე. 1 ჰექტარი ლოკოკინის ფერმის გაშენება დაახლოებით 60-70 ათასი ევრო ჯდება და ამ თანხის ამოღება, 1.5 წელიწადშია შესაძლებელი, თუ წლის განმავლობაში მოსავლის ორჯერ მიღება მოხერხდა — ამბობს ფერმერი. წარმატებები ვუსურვოთ მას.

იაპონიაში ქართული NFT წარადგინეს

დღეს ძალიან პოპულარული, ციფრული ტოკენი NFT-რომელიც ცოტა დაუჯერებელ შემოსავლებს იძლევა, საქართველოს იაპონიაში წარმოადგენს.

ტოკიოში, 11 ოქტომბერს ბლოქჩეინ ტექნოლოგიის ღონისძიებებისთვის განკუთვნილ სივრცეში CryptoBase ასე პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც მონაწილეები ქართულ NFT კოლექციით — supra 3.0 წარსდგა. იგი ქართული ტრადიციების, კულტურისა და ისტორიის თემატიკაზე შექმნილი პირველ NFT-ია. ამის შესახებ ინფორმაციას იაპონიაში საქართველოს საელჩო ავრცელებს. supra3.0 საქართველოს ელჩის თეიმურაზ ლეჟავას მიერ შექმნილი 5000 NFTნამუშევრისგან შედგება და საქართველოთი დაინტერესებულ იაპონელ საზოგადოებას ქართული კულტურის ელემენტებით დატვირთული NFT ნამუშევრების შეთავაზებას ისახავს მიზნად.

NFT-ს მფლობელებს საქართველოში ვიზიტისას ექსკლუზიურ სერვისებზე წვდომა მიეცემათ, რასაც აღნიშნულ პროექტში გაერთიანებული 20-ზე მეტი ქართული კომპანია უზრუნველყოფს, რომლებიც თავის მხრივ საქართველოს ტურიზმის, კულინარიისა და მოდის ინდუსტრიებს წარმოადგენენ.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ



ვახტანგ ბადაგაძე – ღრმად მოაზროვნე, უკეთილშობილესი მეცნიერი და ადამიანი

2022 **წლის** 16 ოქტომბერს გამოჩენილი ქართველ მათემატიკოსსა და პედაგოგს, პროფესორ **ვახტანგ ბადაგაძეს** დაბადების 90 წელი შეუსრულდებოდა. სამწუხაროდ, 2007 წლის 9 მარტს იგი 75 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ვახტანგ ბადაგაძე დაიბადა 1932 წელს ქალაქ დუშეთში, სადაც 1950 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, დუშეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის პირველი საჯარო სკოლა, ერთ-ერთი უძველესთაგანია. რამდენიმე წლის წინათ სკოლის 180 წლის იუბილე აღინიშნა.

ამ სკოლაში არაერთი ღირსეული მეცნიერი და მამულიშვილი, მათ შორის გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი ლევან ჟიჟიაშვილი აღიზარდა, ვისთანაც ბატონ ვახტანგს დიდი მეგობრობა აკავშირებდა. ბატონი ვახტანგი ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენებდა დუშეთში გატარებულ წლებს და მშობლიურ სკოლას მუდამ გვერდში ედგა.

უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1955-1958 წლებში მან გაიარა ასპირანტურის სრული კურსი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში აკადემიკოს შალვა მიქელაძის ხელმძღვანელობით და გახდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. 1961-1968 წლებში იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ხოლო 1968-1971 წლებში უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

ინსტიტუტში მუშაობის დროს მან თავი გამოიჩინა არა მხოლოდ როგორც ნიჭიერმა მკვლევარმა და მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა, არამედ მეცნიერების შესანიშნავმა ორგანიზატორმაც. ახალგაზრდა მეცნიერის მაღალმა პროფესიონალიზმმა და პიროვნულმა მიზიდულობამ განაპირობა მისი არჩევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიახლოებითი ანალიზისა და კომპიუტერული ინჟინერიის კათედრის გამგედ. ამ თანამდებობაზე მან შეცვალა კათედრის დამფუძნებელი და მისი მასწავლებელი, აკადემიკოსი შალვა მიქელაძე. ვახტანგ ბადაგაძე კათედრას ხელმძღვანელობდა 1971-1982 წლებში. 1982 წლიდან გარდაცვალებამდე იგი მუშაობდა კათედრის ჯერ დოცენტად და შემდეგ ასოცირებულ პროფესორად.

ბოლო პერიოდში ამ კათედრას გამოთვლითი მათემატიკისა და ინფორმატიკის სახელი ეწოდებოდა. წლების განმავლობაში ბატონი ვახტანგი იყო მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი და რამდენიმე სადისერტაციო და წოდებების მიმნიჭებელი საბჭოების წევრი. პროფესორ ვახტანგ ბადაგაძის სამეცნიერო კვლევის მიმართულებას წარმოადგენდა მიახლოებითი ანალიზი. კერძოდ, მისი სამეცნიერო ინტერესების ძირითადი სფერო იყო მათემატიკური ფიზიკის ამოცანებისთვის სასრულ-სხვაობიანი სქემების აგება და გამოკვლევა. მისი ნაშრომები მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების ყურადღების ქვეშ მოექცა და შესაბამისი ციტირებებიც გაკეთდა. ბატონი ვახტანგი იყო რამდენიმე ავტორიტეტული სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიების წევრი.

ასევე იყო რამდენიმე სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომი და სახელმძღვანელო. ვახტანგ ბადაგაძე ბუნებით იყო პედაგოგი, ფართოდ ერუდირებული, გულუხვობის, კეთილშობილების განსახიერება, ობიექტური და ღრმად მოაზროვნე ადამიანი. მან სასიკეთო გავლენა მოახდინა ქართველ მათემატიკოსთა მრავალ თაობაზე. მისი სტუდენტები და კოლეგები არასოდეს დაივიწყებენ ამ გამორჩეული ინტელექტისა და გულის მქონე მაღალი ზნეობის ადამიანს.

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი

შიდა ქართლისა და რუსთავის ღირსეული მემატიანე

გივი ჯახუა – 90

90 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და ჟურნალისტი **გივი ჯახუა.** ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო გივი!

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი თანამოკალმენი ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან კეთილშობილებითა და გონიერებით გამორჩეულ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 90 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 70 წლისთავს.

თქვენს მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა ერთი მშვენიერი ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება ჩუმად, უხმაუროდ ემსახურო მშობელ ქვეყანას, მშობელ ხალხს და შენს წილ საჯილდაო ქვასაც შეეჭიდო დაუფიქრებლად...

რა ნიშანდობლივია, რომ მთელი ცხოვრება რუსთავ-ქალაქში გაატარეთ. აქ გამოქვეყნდა თქვენი პირველი მხატვრული ნარკვევი გაზეთ „სოციალისტურ რუსთავში“, აქ ჩამოყალიბდით შემოქმედად, ჟურნალისტად, მოღვაწედ, პიროვნებად და თავადაც სული და გული გაიღეთ, რათა ბოსტანქალაქი თანამედროვე განვითარებულ, სულიერებით სავსე, ინტელექტუალიზმით გამორჩეულ ოაზისად ქცეულიყო ჩვენს სინამდვილეში.

ქართველი მკითხველი ცხოველი ინტერესით შეხვდა თავანკარა ქართულით, თხრობის სიდინჯით, დიალოგების ბუნებრიობითა და წერის კულტურით გამორჩეულ თქვენს ისეთ პროზაულ კრებულებს, როგორიცაა „ნათია“, „ოდოია“, „ხალიბთა მემკვიდრენი“, „გრძელი ღამე“, „ცხენი თუ მოგიპარავს“, „ჟამი მსხვრევისა“, „ჩემი სევდიანი მურუცხეფი“, „სიყვარულსა მალვა უნდა“, „ზღაპრის ბიჭი“, „სანამ მეცხრე ტალღა მოვა“, „და მზე ამოდიოდა“. რა საოცრად ჰგავხართ თქვენს პერსონაჟებს, თუნდაც იმ ზღაპრის ბიჭს, რომელსაც ყველაფერი მოყვასისთვის ემეტება.

თქვენი მეგობრები გიცნობენ, როგორც მშვენიერ პუბლიცისტს, რომლის ნააზრევიც მშობელი ქვეყნის პრობლემატიკითაა გაჯერებული.

სხვადასხვა დროს მუშაობდით გაზეთ „მეტალურგის“ რედაქტორად, ქვემო ქართლში საქართველოს ტელე-რადიომაუწყებლობის მთავარ კორესპონდენტად, რუსთავის დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარედ, ალმანახ „ვარ რუსთაველის“ რედაქტორად, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარ კორესპონდენტად, მწერალთა ასოციაცია „რუსთაველის“ თავმჯდომარედ, გაზეთ „სამშვილდეს“ მთავარ რედაქტორად, გაზეთ „ლიტერატურული ქვემო ქართლის“ მთავარ რედაქტორად.

ღვაწლი დაგიფასდათ. მონიჭებული გაქვთ ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ივანე მაჩაბლის, სერგეი მესხის, დავით კლდიაშვილის სახელობის, საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიები, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება. არჩეული ხართ რუსთავის საპატიო მოქალაქედ, ფაზისის ეროვნული აკადემიის წევრად.

ძვირფასო ბატონო გივი!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ მოგილოცავთ საიუბილეო თარიღს ღვაწლმოსილ, მხცოვან შემოქმედსა და მოღვაწეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი ოცნებების აღსრულებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

კულტურის სამინისტროს საჩუქარი

ეროვნული სამოსი ლეგენდარულ „ბასიანსა“ და ლელა თათარაიძეს...

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ სსიპ ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლ „ბასიანსა“ და მომღერალ ლელა თათარაიძეს საჩუქრად ტრადიციული სასცენო სამოსი გადასცა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე, ანსამბლ „ბასიანის“ წევრები და მომღერალი ლელა თათარაიძე, – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა ახალი სასცენო სამოსის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ფოლკლორული ანსამბლების წინაშე მევრი გამოწვევაა, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა კი მაღალი ხარისხის, სპეციალური ესკიზების მიხედვით შექმნილი ტრადიციული სასცენო სამოსის ნაკლებობაა.

დაახლოებით 15 წელია, სახელმწიფოს ანსამბლებისთვის ახალი სამოსი არ შეუძენია, რის გამოც სამინისტროს გადაწყვეტილებით გამოცხადდა ორი ტენდერი.

ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი „ბასიანი“ 2000 წელს საქართველოს საპატრიარქოში შეიქმნა, 2013 წელს კი მას სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი მიენიჭა. მან ექსპედიციებითა და კონცერტებით მოიარა საქართველოს სხვადასხვა რეგიონი, აღადგინა და გააცოცხლა სიმღერა-გალობის არაერთი მივიწყებული ნიმუში, მონაწილეობდა ფესტივალებსა და სიმპოზიუმებში, კონცერტები გამართა მსოფლიოს პრესტიჟულ დარბაზებსა და უნივერსიტეტებში. ანსამბლისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ნიუიორკის სახელგანთქმულ ლინკოლნის ცენტრ Mostly Mozart Festival-ში კონცერტი — „ბახი და მრავალხმიანობები“, რომელზეც „ბასიანმა“ ბახის, ლიგეტის, ქსენაკისის და სხვა გამოჩენილ კომპოზიტორთა ნაწარმოებების გვერდით წარადგინა ქართული ტრადიციული რეპერტუარიც. ეს მოვლენა განსაკუთრებულია არა მხოლოდ „ბასიანის“, არამედ ქართული ტრადიციული მუსიკის ისტორიაში.

ანსამბლმა დღემდე ჩაწერა და გამოსცა ტრადიციული სიმღერა-გალობის 300-მდე ნიმუში, რომლებიც სხვადასხვა ალბომში ერთიანდება და მთელ მსოფლიოში ვრცელდება.

ცნობილი მომღერალი და სიმღერების ავტორი ლელა თათარაიძე მთელი ცხოვრების განმავლობაში მშობლიურ ალვანში საქმიანობას წარმატებით უთავსებდა თბილისის შემოქმედებით ცხოვრებას. იგი მუშაობდა ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილებაში, შემდეგ კი თბილისში, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში, ხალხურ საკრავთა სახელმწიფო ორკესტრში უკრავდა. ერთხანს ზემო ალავნის საშუალო სკოლაში სიმღერის მასწავლებლად და გუნდის ხელმძღვანელადაც მუშაობდა, რასაც სახელმწიფო ფილარმონიის ფოლკლორული ანსამბლის სოლისტობა მოჰყვა. იმავე დროს საქართველოს სახელმწიფო ტელე-რადიო კომიტეტის ფოლკლორულ ანსამბლ „კელაპტრის“ სოლისტი იყო. მან სოფელ ქვემო ალვანში ჩამოაყალიბა ქალ-ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „თუშეთი“.

1992 წლიდან მუშაობდა მერაგ კოსტავას სახელობის ეროვნულ თეატრში სპექტაკლების მუსიკალურ გამფორმებლად და მსახიობად. პარალელურად ხელმძღვანელობდა ქალთა ფოლკლორულ ტრიო „ქართულ ჰანგს“. 2000 წელს ქალთა ვოკალურ-ინსტრუმენტული კვარტეტი „კესანე“ ჩამოყალიბდა და ლელა თათარაიძე ამ კვარტეტის უცვლელი ხელმძღვანელია.

2019 წლის 14 აპრილს ფილარმონიის წინ ლელა და ეთერ თათარაიძეების ვარსკვლავი გაიხსნა. კულტურის სამინისტროსგან ანსამბლს „ბასიანს“ გადაეცა 18 კომპლექტი ჩოხა-ახალუხი, ხოლო ლელა თათარაიძეს – ტრადიციული კაბა ჩოხით.

რა არის ტაქტიკური ბირთვული იარაღი, რომლითაც პუტინი იმუქრება?

ყაზახეთი, პირველი საბჭოთა ატომური ბომბის გამოცდა, 1949 წლის აგვისტო

ბირთვულ ომზე ან როგორც ბოლო დღეებში ხშირად გაისმის, ტაქტიკური ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენებაზე უკრაინის წინააღმდეგ, შეიძლება ჰიროშიმას ცნობილი „სოკოს ღრუბელი“ გაგგახსენდეთ. არის თუ არა საფრთხე იგივე, რით ჰგავს და განსხვავდება ე.წ. ტაქტიკური ბირთული იარაღი რომლითაც პუტინი იმუქრება, ცნობილი „სოკოსგან“ ანუ სტრატეგიული ატომური იარაღისგან?

რა არის ტაქტიკური ბირთული იარაღი?

ტაქტიკური ბირთული იარაღი არის შედარებით მცირე ზომის ბირთული ქობინი თავისი გადასატანი სისტემით, რომელიც გამოიყენება ბრძოლის ველზე და შექმნილია კონკრეტულ ტერიტორიაზე მტრის სამიზნეების გასანადგურებლად. ოღონდ ფართო რადიოაქტიური აფეთქების და მასშტაბური რადიოაქტიური დაბინძურების გარეშე.

სტრატეგიულ ბირთვულ იარაღთან შედარებით, რომელიც, როგორც წესი, შექმნილია კონტინენტების გადაკვეთისთვის, ტაქტიკური ბირთვული იარაღის მიწოდების სისტემები გამოიყენება უფრო მოკლე მანძილზე – როგორც წესი, 500 კილომეტრს ქვემოთ. თუმცა, როგორც NPR-ის მეცნიერებისა და უსაფრთხოების კორესპონდენტი ჯეფ ბრუმფილი შენიშნავს „ეს არავითარ შემთხვევაში არ არის „მცირე იარაღი“.

„მაგალითად, ყველაზე დიდი, ჩვეულებრივი ბომბი, რომელიც აშშ-ს საჰაერო ძალებს ოდესმე ჩამოუგდიათ, დაახლოებით 11 ტონა ტროტილის აფეთქების სიმძლავრისა იყო. მაგრამ ე.წ. მცირე ბირთვულ იარაღს შეუძლია მიაწოდოს ერთი კილოტონა ტროტილი და ასჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე ყველაზე დიდი ბომბი“.

რით განსხვავდება ტაქტიკური ატომური იარაღი სტრატეგიული ბირთული იარაღისგან?

სტრატეგიული ატომური იარაღი გათვლილია დიდი რაოდენობის მოსახლეობის ან მტრის მნიშვნელოვანი ობიექტების გასანადგურებლად.

აფეთქების კვალი ნაგასაკის თავზე, 1945 წლის 9 აგვისტო

რა სიმძლავრისაა ტაქტიკური ბირთული იარაღი?

ყველაზე მცირე ტაქტიკური ბირთული ქობინის სიმძლავრე ერთ კილოტონამდეა ტროტილის ეკვივალენტში, ანუ აფეთქების სიმძლავრე არ აღემატება ათასი ტონა ტროტილის აფეთქებას.

ყველაზე დიდი ქობინი შეიძლება 100 კილოტონა იყოს.

სტრატეგიული ბირთვული იარაღი კი მეცრად მძლავრია – 1000 კილოტონამდე.

ცნობილი ატომური ბომბი, რომელიც აშშ-მა ჩამოაგდო ჰიროშიმაზე 1945 წელს,15 კილოტონა იყო .

როგორ მუშაობს ტაქტიკური ბირთული იარაღი?

ტაქტიკური ბირთული ქობინი შეიძლება განთავსდეს სხვადასხვა ტიპის რაკეტებზე, **რომლებიც გამოიყენება ჩვეულებრივი ასაფეთქებელი ნივთიერებების მიწოდებისთვის, როგორიცაა ფრთოსანი რაკეტები და საარტილერიო ჭურვები.** ასეთი იარაღის გასროლა ასევე შესაძლებელია თვითმფრინავებიდან და გემებიდან.

გამოუყენებიათ თუ არა ის ოდესმე?

არასოდეს. მოქმედი ბირთვული იარაღი კონფლიქტებში აქამდე არ გამოუყენებიათ, რადგან ბირთვული იარაღის მქონე არც ერთ ქვეყანას არ სურდა ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებით ყოვლისმომცველი ბირთვული ომის გაჩაღება.

ვის რამდენი ბირთული იარაღი აქვს?

აშშ-ს დაზვერვის მონაცემებით, რუსეთს დაახლოებით 2000-მდე ტაქტიკური ბირთვული იარაღი აქვს. დაახლოებით 10-ჯერ მეტი რრაოდენობა, ვიდრე შეერთებული შტატებს. აშშ-ს 200 ტაქტიკური ბირთვული იარაღიდან კი, დაახლოებით, ნახევარი განლაგებულია ევროპის ბაზებზე.

სააგენტო „როიტერი“ ასევე წერს, რომ რუსეთს დღეს აქვს 1458 სტრატეგიული ბირთვული ქობინი, რომელიც მზადაა გასასროლად, შეერთებულ შტატებს კი ასევე მზადყოფნაში აქვს 1389 ქობინი.

რაც შეეხება მთლიანად ბირთვული იარაღის ოდენობას BBC-ს ცნობით რომელიც ეყრდნობა ამერიკელ მეცნიერთა ფედერაციის მონაცემებს და მიანიშნებს, რომ ყველა ეს რიცხვი არის მიახლოებითი, სურათი ასეთია:

- **რუსეთს აქვს ბირთვული იარაღის 5977 ქობინი;**
- **ნატოს – 5943 (აქედან 5428 აშშ-ს, 290 საფრანგეთს, 225 დიდ ბრიტანეთს);**
- **ჩინეთს – 350;**
- **პაკისტანს – 165;**
- **ინდოეთს – 160;**
- **ისრაელს – 90;**
- **ჩრდილოეთ კორეას – 20.**

რა ზიანის მიყენება შეუძლია ტაქტიკურ ბირთულ იარაღს?

ტაქტიკური ბირთვული იარაღი უფრო დამანგრეველია, ვიდრე სხვა იარაღი იმავე ფეთქებადი ენერგიით. ბირთვული აფეთქებები უფრო ძლიერია, ვიდრე ქიმიური აფეთქებები. და ის ტოვებს მომაკვდინებელ რადიაციულ ნაკადს, რომელიც კონკრეტულ ტერიტორიაზე დაბინძურებს ჰაერს, ნიადაგს, წყალს და საკვებს.

ატომური ბომბი და მსოფლიო

- **1942 წლის აგვისტოში ამერიკის შეერთებული შტატები აყალიბებს „მანჰეტენის პროექტს“ პირველი ბირთვული იარაღის შესაქმნელად.**
- **1945 წლის ივლისში აშშ ატარებს ბირთვული იარაღის პირველ გამოცდას – ის გამოცდის 15-20-კილოტონიან ბირთვულ იარაღს, სოკორროს სამხრეთით, ნიუ მექსიკოში, სადაც რადიაციის დონე ამ უბნის ირგვლივ 10-ჯერ გაიზრდება.**
- **1945 წლის 6 აგვისტოს აშშ ატომური ბომბს ჩამოაგდებს იაპონიის ქალაქ ჰიროშიმაზე, რის შედეგადაც თვეების განმავლობაში 140 000-ზე მეტი ადამიანი იღუპება. რადიაციით გამოწვეულ დაავადებებს მოგვიანებით კიდევ უამრავი ადამიანი შეეწირება.**
- **1945 წლის 9 აგვისტოს, შეერთებული შტატები ნაგასაკის თავზე მეორე, პლუტონიუმის ბომბს აფეთქებს. დაახლოებით 74 000 ადამიანი დაიღუპება.**
- **1946 წლის იანვარში გაერო მოითხოვს ატომური იარაღის განადგურებას. თავის პირველ რეზოლუციაში გაეროს გენერალური ასამბლეა ითხოვს ბირთვული იარაღის სრულ აღმოფხვრას და ქმნის კომისიას ბირთვული იარაღის მოსაგვარებლად.**
- **1949 წლის აგვისტოში, პირველი ატომურ ბომბს გამოცდის საბჭოთა კავშირიც და ყაზახეთში, ამ გამოცდის შემდეგ, ის გახდება მეორე ქვეყანა მსოფლიოში, რომელიც წარმატებით შექმნის და გამოცდის თავის ბირთვულ მოწყობილობას.**
- **1952 წელს დიდი ბრიტანეთიც გამოცდის თავის პირველ ატომურ იარაღს – მონტებელოს კუნძულებზე, დასავლეთ ავსტრალიის სანაპიროზე.**
- **1955 წლის ივლისში ქვეყნდება ცნობილი რასელ-აინშტაინის მანიფესტი, რომლითაც ბერტრანდ რასელი, ალბერტ აინშტაინი და სხვა წამყვანი მეცნიერები აფრთხილებენ მსოფლიოს ბირთვული ომის საშიშროების შესახებ და მოუწოდებენ ყველა მთავრობას, გადაწყვიტონ დავები მშვიდობიანი გზით.**
- **1958 წლის თებერვალში დიდი ბრიტანეთის ბირთვული განიარაღების კამპანია იწყება – და მისი საკულტო ემბლემა ხდება ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ აღიარებული სიმბოლო მსოფლიოში.**
- **1959 წელს იკრძალება ბირთვული ტესტების ჩატარება ანტარქტიდაზე.**
- **1960 წელს პირველი ბირთვულ იარაღს გამოცდის საფრანგეთი საჰარის უდაბნოში.**
- **1961 წელს საბჭოთა კავშირი აფეთქებს ყველაზე მძლავრ ბომბს, 58-მეგატონიან ბირთვულ იარაღს, მეტსახელად „მეფე ბომბს“.**
- **1962 წელს კუბის სარაკეტო კრიზისი იწყება, როცა შეერთებული შტატები კუბაში საბჭოთა რაკეტებს აღმოაჩენს. შეერთებული შტატები კუბას 13 დღით ბლოკავს. კრიზისი შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს ბირთვული ომის ზღვარზე მიჰყავს.**
- **1963 წელს ფორმდება ნაწილობრივი გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულება, ხელშეკრულება, რო-**

„მეორედ მოსვლა“ თუ... კიდევ უარესი?!

რონალდ რეიგანი და მიხეილ გორბაჩოვი ხელს აწერენ შეთანხმებას საშუალო რადიუსის რაკეტების აკრძალვაზე, 1987 წელი, თეთრი სახლი.



მელიც კრძალავს ატმოსფეროში, კოსმოსსა და წყალქვეშ ბირთვულ გამოცდას.

● 1964 წელს მსოფლიო ბირთვულ სცენაზე ჩინეთი შემოდის და თავის პირველ ატომურ ბომბს გამოცდის.

● 1967 წელს ლათინური ამერიკა ბირთვული იარაღზე უარს ამბობს და მეხიკოში იდება ბირთვული იარაღის აკრძალვის ხელშეკრულება.

● 1968 წელს ხელმოწერისთვის იხსნება ე.წ. გაუვრცელებლობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, არაბირთვული იარაღის მქონე ქვეყნები თანხმდებიან, არასოდეს შეიძინონ ბირთვული იარაღი და ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოები იღებენ ლეგალურ ვალდებულებას განიარაღებაზე.

● 1974 წელს თავის პირველ ატომურ იარაღს გამოცდის ინდოეთი რაჯასტენის უდაბნოში, კოდური სახელწოდებით „მომღიმარი ბუდა“.

● 1979 წელს ბირთვული აფეთქება ხდება ინდოეთის ოკეანეში. ვარაუდობდნენ, რომ ის სამხრეთ აფრიკამ ისრაელის დახმარებით ჩაატარა.

● 1982 წელს მილიონი ადამიანი გამოდის განიარაღების მოთხოვნით ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში – ეს იყო ისტორიაში ყველაზე დიდი ანტისაომარი დემონსტრაცია.

● 1985 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემია ენიჭებათ ექიმებს ბირთვული ომის პრევენციისთვის.

● 1986 წელს ცნობილი ხდება, რომ ბირთვული იარაღი შესაძლოა ჰქონდეს ისრაელსაც.

● 1986 წელსვე აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის ლიდერები რონალდ რეიგანი და მიხაილ გორბაჩოვი ერთმანეთს ხვდებიან რეიკიავიკში და განიხილავენ ბირთვული იარაღის გაუქმების შესაძლებლობას.

● 1987 წელს, საბჭოთა კავშირმა და შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც საშუალო რადიუსის რაკეტები აიკრძალა.

● 1995 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია ბირთვული იარაღისგან თავისუფალი ხდება.

● 1996 წელს მათ აფრიკაც უერთდება.

● 1996 წელს, უკრაინაც ხდება ბირთვული იარაღისგან თავისუფალი სახელმწიფო, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ბირთვულ ქობინს გადასცემს რუსეთს – გასანადგურებლად.

● 1996 წელს, იუსტიციის საერთაშორისო სასამართლო გამოსცემს საკონსულტაციო დასკვნას, რომელშიც ადგენს, რომ ბირთვული იარაღით მუქარა ან მისი გამოყენება ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონმდებლობას, მაგრამ სასამართლომ ვერ დაასკვნა, ბირთვული იარაღის გამოყენება იქნება კანონიერი თუ უკანონო იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოს მოუწოდებდა თავდაცვის უკიდურესი ზომების მიღებას თავის გადასარჩენად.

● 1996 წელს, ბირთვული გამოცდის სრული აკრძალვის ხელშეკრულება იხსნება ხელმოწერისთვის გაეროში. მას ხელს აწერენ ჩინეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი და შეერთებული შტატები. ინდოეთი აცხადებს, რომ არ მოაწერს ხელს ხელშეკრულებას.

● 1996 წელს ბელარუსიც გადასცემს თავის ბოლო ატომურ იარაღს რუსეთს გასანადგურებლად.

● 2006 წელს ჩრდილოეთ კორეის მთავრობა აცხადებს, რომ წარმატებით ჩაატარა ბირთვული გამოცდა.

არის თუ არა ბირთვული საფრთხე რეალური?

ცოტა ხნის წინ ვლადიმირ პუტინმა ასეთი რამ თქვა: **„თუ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე დაემუქრება, ჩვენ უდავოდ გამოვიყენებთ ყველა შესაძლო საშუალებას რუსეთისა და ჩვენი ხალხის დასაცავად. ეს ბლეფი არ არისო“.**

აშშ-ის დაზვერვა ამას აღიქვამს უფრო მუქარად უკრაინისადმი მათი დახმარების სანაცვლოდ, ვიდრე ბირთვული ომის დაწყების ნიშნად. თუმცა არაერთი ექსპერტი მაინც შიშობს, რომ რაც უფრო მეტად წავა რუსეთი ამ ომში წარუმატებლობისკენ, მით უფრო მეტად გაუჩნდება უკრაინაში მცირე ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების ცდუნება „მარცხის თავიდან ასაცილებლად“. „ვშიშობ, პუტინმა, შესაძლოა, მაინც გამოიყენოს ბირთვული იარაღი უკრაინაში ყველას დასაშინებლად“, – **ფიქრობს ბირთვული იარაღის ექსპერტი ჯეიმს ეკტონი.**

ჩაუდენელის ჩადენა – რას ფიქრობენ საქართველოში?

„გამორიცხულია, პუტინი ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს ვერ გამოიყენებს, რადგან თუნდაც ერთი ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებას მოჰყვება პასუხი. თუ პირველი ნაბიჯი ტაქტიკური იარაღის გამოყენება იქნება, მას აუცილებლად მოჰყვება სტრატეგიულიც. ეს უკვე სხვა სცენარია, რომელშიც მხოლოდ რუსეთი და ნატო კი არ იქნება ჩართული, არამედ ჩინეთი და მთელი მსოფლიოც. ეს არავის აწყობს“, – შენიშნავს „რადიო თავისუფლებასთან“ საუბარში სამხედრო ექსპერტი, თადარიგის პოლკოვნიკი, აკია გარბაქაძე.

მისი აზრით, შესაძლოა, რუსეთს რაოდენობრივად დღეს ყველაზე მეტი ტაქტიკური ბირთვული იარაღი ჰქონდეს, თუმცა, დიდი ალბათობით, ისიც იმ დღეში უნდა იყოს, როგორშიც ახლა რუსული ჯარია. და მაინც, თუ პუტინი გაბედავს და გაისვრის ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს, ეს ნიშნავს, პროცესში ყველა ბირთვული სახელმწიფოს ჩართვას, რაც უკვე **„გაცილებით მეტია, ვიდრე ომი უკრაინასთან – ეს ატომური ომია“,** – ამბობს აკია გარბაქაძე.

„ტაქტიკური იარაღი შეიძლება ჩამოაგდო, მაგალითად, სადმე მინდორში, რომელსაც ორი კილომეტრის რადიუსში ვერავინ მიუახლოვდება მაღალი რადიაციული ფონის გამო – ჯარს იქ ვერ შეიყვან და სანგარს ვერ გათხრი. ასეთი დაცვისთვის შეიძლება ის გამოიყენო“, – გვითხრა სამხედრო ჟურნალისტმა უჩა აბაშიძემ, რომლის აზრით, ამ ამბავში მთავარი მაინც „ჩაუდენელის ჩადენაა“, რადგან მსგავსი რამ ჯერ მსოფლიოში არ მომხდარა – ბოლომდე იმის თქმაც ძნელია, როგორი იქნება მსოფლიოს ბირთვული სახელმწიფოების პასუხი.

მისი თქმით, დღეს, ატომური იარაღის გასროლის პროცედურაც კი ბუნდოვანია: პუტინი ჩუმად გაისვრის? თუ წინასწარ გააფრთხილებს ვინმეს? თუ ულტიმატუმს დააყენებს?

იმ რაკეტებიდან, რაც დღეს კიევში ჩამოვარდა, ნებისმიერს შეიძლებოდა ჰქონოდა დამაგრებული ბირთვული ქობინა. ამ კალიბრის იარაღზე დღეს უკვე უნდა ჰქონდეს რეაქცია მსოფლიოს, მაგრამ პუტინმა მთელი მსოფლიო მიაჩვია იმას, რომ უკრაინის თავზე უზარმაზარი რაკეტები დაფრინავს და ეცემა სამოქალაქო ობიექტებთან ახლოს ან პირდაპირ მათ. მან ეს ნორმა გახადა. 40 წლის წინ, ცივი ომის დროს, ერთი ცალი მსგავსი რაკეტის გაფრენაც კი დიდი ომის წინაპირობა გახდებოდა. დღეს კი ყველა დოქტრინის ხაზები გადაკვეთილია და მთელი მსოფლიო მხოლოდ რეაგირების რეჟიმშია „თითქოს, რა მოხდება იმის მიხედვით მოიქცევიან“, – უთხრა უჩა აბაშიძემ „რადიო თავისუფლებას“.

ეკა ძევანიშვილი,

„რადიო თავისუფლების“ თბილისის ბიუროს ჟურნალისტი

სინამდვილე თუ დასავლური ბაქიბუქი?!

„რუსული ბირთვული იარაღი მანამ არის ეფექტური, სანამ მას არ იყენებენ“

კრემლი დასავლეთს მესამე მსოფლიო ომითა და ბირთვული იარაღის გამოყენებით ემუქრება. ბოლო 7 თვის განმავლობაში, მხოლოდ ვლადიმირ პუტინმა ოთხჯერ ახსენა, რომ „ყველა საშუალებას გამოიყენებს“, რათა რუსეთმა თავი დაიცვას. „ეს ფანდი არ არის“, – ამბობდა პუტინი ჯერ კიდევ სექტემბერში.

თუმცა, ვისგან იცავს რუსეთი თავს? – ფაქტია, რომ ომი უკრაინაში კრემლმა დაიწყო და როგორც ვაშინგტონში ამბობენ, სწორედ კრემლს შეუძლია მისი დასრულება.

„თუ რუსეთი შეწყვეტს ბრძოლას, ომი დასრულდება, თუ უკრაინა შეწყვეტს ბრძოლას უკრაინა დასრულდება,“ – ამბობს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პრესსპიკერი ნედ პრაისი.

ვაშინგტონის ანალიტიკურ წრეებში მიაჩნიათ, რომ რუსეთი ბირთვულ საფრთხეზე მაშინ იწყებს საუბარს, როდესაც უკრაინაში ფრონტის ხაზზე მარცხდება. ეს კი ბოლო ერთი თვის განმავლობაში თვალსაცემია.

„არ გვაქვს არანაირი მინიშნება, რომ რუსეთი ბირთვული იარაღის გამოცდისთვის ემზადება,“ – ამბობს კარინ ჟან-პიერი, თეთრი სახლის პრესსპიკერი და განმარტავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ბირთვული იარაღის საკითხებს ყურადღებით აკვირდება და ამ დროისთვის ვაშინგტონს სტრატეგიული ბირთვული პოზიციები არ შეუცვლია.

ანალიტიკოსები ამბობენ, რომ პუტინის განცხადებები ადამიანების დაშინებას და პოლიტიკის ცვლილებას ისახავს მიზნად.

„რუსეთის ატომური იარაღი ყველაზე ეფექტური მაშინ არის, როდესაც მას არ იყენებენ. მე ვგულისხმობ იმას, რომ ეს იარაღი მანამ არის აქტიური, სანამ მისი გამოყენება მოხდება, რადგან თუ ისინი ამას გამოიყენებენ, როგორც კი ეს მოხდება, მაშინვე დასრულდებიან,“ – ამბობს თადარიგის გენერალი ბენ ჰოჯესი.

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილმა ხელმძღვანელმა დევიდ პეტრეუსმა ამერიკულ „ეი ბი სი ნიუსთან“ საუბრის დროს თქვა, რომ დასავლეთი ავტომატურად გაანადგურებს რუსული ჯარის სხვადასხვა შენაერთს.

თუ რუსეთი ბირთვულ იარაღს გამოიყენებს **„...ჩვენ ვუპასუხებთ ნატოს კოლექტიური ძალისხმევით. თავდასხმის ფარგლებში, ჩვენ გავანადგურებთ კონვენციურ რუსულ ძალებს, რომლებსაც ვნახავთ უკრაინის ბრძოლის ველზე, ასევე ყირიმში და ყველა გემს, რომელიც შავ ზღვაშია,“** – თქვა დევიდ პეტრეუსმა.

ანალიტიკოსთა ნაწილს მიაჩნია, რომ რუსეთმა შესაძლოა ძალის დემონსტრირებისთვის ტაქტიკური ბირთვული იარაღი გამოიყენოს.

„მიზანი უკრაინის მთავრობისთვის მაქსიმალური ზიანის მიყენება, ან უბრალოდ ამის თქმა იქნებოდა: ნახეთ, რა შემიძლია,“ – ამბობს „ამერიკის ხმასთან“ საუბრის დროს მიტჩელ უოლერსტინი, ჩიკაგოს საგარეო ურთიერთობათა საბჭოდან.

თუმცა პოზიციები გაყოფილია. სამხედრო ანალიტიკოსების ნაწილი თვლის, რომ საფრთხე რეალურია, ნაწილს მიაჩნია რომ ეს მხოლოდ მუქარისთვის, დაშინებისთვის გამოიყენება.

„არ მგონია, რომ ამის დიდი შანსი იყოს, მაგრამ ახლა ეს გაცილებით რეალურია, ვიდრე ნებისმიერ სხვა დროს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან მოყოლებული“, – ამბობს ჯეიმს ექტონი, „კარნეგის მშვიდობის ფონდიდან“.

უკრაინა დასავლეთის დახმარებით ფრონტის ხაზზე წინ მიიწევს, როგორც სამხრეთით, ასევე აღმოსავლეთით. კრემლი თვეებია იმუქრება, რომ ბირთვულ იარაღს გამოიყენებს. ანალიტიკოსები თვლიან, რომ რუსეთის მიზანი ვაშინგტონის შეშინება და სამხედრო დახმარების მიწოდების შემცირებაა. დახმარების, რომლითაც უკრაინას თანამედროვე შეიარაღება მიეწოდება.

„უკრაინა ბრწყინვალედ მიიწევს წინ. დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრ გამარჯვებას ვიხილავთ ბრძოლის ველზე, ეს შეუქცევადი დინამიკაა. მე ვერ წარმოვიდგენ, თუ რა შეუძლია რუსეთს, რომ ეს პროცესი შეაჩეროს,“– ამბობს დევიდ პეტრეუსი „ამერიკის ხმასთან“ საუბრის დროს.

კრემლის მიზანი ამ შემთხვევაში მიუღწეველია, რადგან ვაშინგტონი მკაფიოდ ამბობს, რომ უკრაინის დახმარებას არ შეწყვეტს. **„ჩვენ უკრაინას დავეხმარებით მანამ, სანამ ამის საჭიროება იქნება,“** – ამბობს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი ნედ პრაისი “ამერიკის ხმასთან“ საუბრის დროს. მეტიც, ბოლო კვირებში კიევისთვის სამხედრო დახმარების მოცულობა რამდენჯერმე გაიზარდა. საერთო ჯამში, უკრაინას ბოლო 7 თვეში უკვე გაეგზავნა 16 მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი შეიარაღება. ბაიდენის ადმინისტრაცია რუსეთის მიერ ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენების საკითხს ყურადღებით აკვირდება, ვაშინგტონმა კრემლს მკაფიოდ განუმარტა, რომ საპასუხო რეაქცია „კატასტროფული იქნება“. თეთრი სახლის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ჯეიკ სალივანი უკვე ესაუბრა რუს კოლეგას და მას ეს პირდაპირ უთხრა:

„ბირთვული იარაღის ნებისმიერ გამოყენებას, რუსეთისთვის კატასტროფული შედეგები მოჰყვება, რომ შეერთებული შტატები და ჩვენი მოკავშირეები ამას გადამწყვეტად უპასუხებს. ჩვენ ვიყავით ძალიან მკაფიო და კონკრეტული იმასთან დაკავშირებით, თუ რა შედეგები მოჰყვება ამას. ჩვენ ასევე თანაბრად მკაფიოდ ვისაუბრეთ საჯაროდ, რომ შეერთებული შტატები გადამწყვეტად უპასუხებს, თუ რუსეთი ბირთვულ იარაღს გამოიყენებს და ჩვენ გავაგრძელებთ უკრაინის მხარდაჭერას მის ძალისხმევაში დაიცვას ქვეყანა და დემოკრატია,“ – თქვა ჯეიკ სალივანმა „სი ბი ეს ნიუსთან“ საუბრის დროს.

საბა გუჯაბიძე

ლიზ ტრასმა ბრიტანეთი ერთ თვეში აააყირავა!

მხოლოდ ერთი თვეა, რაც ლიზ ტრასი ბრიტანეთის პრემიერმინისტრია და ძვეყანა პოლიტეკონომიკურმა ციებცხელებამ მოიცვა, რომელიც მთავრობის ახალი მეთაურის მიერ გამოცხადებულმა რეფორმებმა გამოიწვია. ის ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის დროს დაჰპირდა ხალხს, რომ გადასახადებს შეუმცირებდა. მისი ოპონენტი რიში სუნაკი, პირიქით, ბეგარის მომატების მომხრე იყო.

ახალი საგადასახადო სისტემის შესაბამამისი პაკეტი, ლიზ ტრასმა და მისმა ფინანსთა მინისტრმა კუასი კუარტენგმა 23 სექტემბერს წარუდგინეს პარლამენტს, რასაც მოსახლეობაც და საფონდო ბირჟაც უარყოფითად შეხვდა. ინვესტორებისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა გადასახადების შემცირების პერსპექტივა. საფონდო ბირჟა კი, პანიკამ მოიცვა. მოხდა ობლიგაციებისა და ბრიტანული ფუნტი სტერლინგის რეკორდულად გაუფასურება, რომელმაც 1985 წლის დევალვაციის დონეს გადააჭარბა. საფონდო ბირჟამ და ობლიგაციების ბაზარმა, ჯამში, 500 მილიარდამდე დოლარის ზარალი განიცადა.

მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა ბეგარების დაწევის შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდმაც გააკრიტიკა, რაც, თავის მხრივ, უჩვეულო მოვლენაა და ხაზს უსვამს საკითხის მნიშვნელობას. სავალუტო ფონდის განმარტებით, მკვეთრად გაზრდილი ინფლაციის ფონზე, ხელსაყრელი არ არის გადასახადების დაწევა. მათი აზრით, ასეთი რეფორმა ეკონომიკური უთანასწორობის გაღრმავების რისკებს შეიცავს. კრიტიკის კვალდაკვალ, მთავრობამ ეკონომიკური სტრატეგია შეცვალა, და ახალი საკანონმდებლო პროექტიდან ყველაზე სადავო პუნქტის ამოღება გადაწყვიტა, მაგალითად, უარი თქვა მაღალშემოსავლიანი ოჯახებისთვის გათვალისწინებულ 40-45-პროცენტიან შეღავათებზე. ეკონომისტებმაც მწვავედ გააკრიტიკეს რეფორმები. მათი აზრით, კოვიდ-პანდემიამ და უკრაინის ომმა ისედაც შეარყია ბრიტანეთის ეკონომიკა, რის გამოც ქვეყანა რეცესიის ზღვარს მიუახლოვდა. ეკონომიკურმა ექსპერიმენტებმა კი, შეიძლება, მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად დაძაბოს.

მთავრობა მოსახლეობისთვის ენერგო-გადასახადების სუბსიდირების გამოც გააკრიტიკეს. ეკონომიკურ კრიზისს პოლიტიკური კრიზისიც მოჰყვა. ლიზ ტრასს ყველა აუჯანყდა: ხალხი, ოპოზიცია და თანაპარტიელებიც კი. მკვეთრად დაეცა მისი პირადი და კონსერვატული პარტიის რეიტინგი. სოციალური გამოკითხვის მიხედვით, დღეს რომ ბრიტანეთში საპარლამენტო არჩევნები შედგეს, ლეიბორისტები გაიმარჯვებენ. სწორედ ამ კრიზისის დღეებში ქალაქ ბირმინჰემში კონსერვატული პარტიის ყრილობა ჩატარდა. წესით, ყრილობა ახალი პრემიერის ზეიმად უნდა ქცეულიყო, მაგრამ ლიზ ტრასს თანაპარტიელების მწვავე კრიტიკის მოსმენა მოუხდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ რეიტინგის დაცემით შეშინებული კონსერვატული პარტიის ზოგიერთმა წევრმა ლიზ ტრასის გადაყენებაც კი მოითხოვა. ამ რადიკალურ ჯგუფში, ბევრი გავლენიანი პოლიტიკოსია და თუ კრიზისი გაღრმავდა, ისინი ბოლომდე ეცდებიან ტრასის თავიდან მოშორებას.

პრემიერობის ახალი კანდიდატი უკვე გამზადებული ჰყავთ: თავდაცვის მინისტრი ბენ უოლისი, თუმცა, თვითონ უოლისი ლიზ ტრასს უჭერს მხარს. ჯერჯერობით!.. ტრასის კრიტიკოსების რიცხვი დღითი დღე იზრდება პარტიაში, რომლის უფროსი წევრები, უპირველეს ყოვლისა, სინუნარისა და წესრიგის დამყარებას ითხოვენ. მათი თქმით, ერთმანეთთან დაპირსპირება მხოლოდ ოპოზიციას ეხმარება. პრემიერის მომხრეთა რიგებშიც იმედგაცრუება იგრძნობა. რეფორმას კი ემხრობიან, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ფინანსთა მინისტრმა და პრემიერმა სუსტი პიარ-მხარდაჭერა გაუწიეს რეფორმებს, მოსახლეობისთვის მეტი ახსნა-განმარტება უნდა მიეცათო. პრემიერი შეძლებისდაგვარად იცავს თავის პოზიციას. ის ხაზს უსვამს, რომ დღეს მსოფლიოში გლობალური ეკონომიკური კრიზისია და ბრიტანეთმა სხვაგვარად უნდა იმოქმედოს: ჩვენი გეგმა კონკრეტულია. ჩემი რეფორმები, ამ ეტაპზე, შეიძლება, არ იყოს მთლად პოპულარული, მაგრამ ისინი ბოლოს მოუღებენ კრიზისს.

რეფორმების გამო ჩვენ ბევრ რამაზე მოგვიწევს უარის თქმა. ამიტომაც, ამ რეფორმებს ბევრი მომხრე არ ჰყავს, მაგრამ გარწმუნებთ, ბოლოს ყველა ისარგებლებს რეფორმების შედეგებითა და ეკონომიკური ზრდით. მოკლედ, ახლა მთელი მსოფლიოს ეკონომისტები თვალ-ყურს ადევნებენ ბრიტანულ ექსპერიმენტს. ასეთი რამ კი, ჩვეულებრივ, განვითარებად ქვეყნებს ახასიათებთ.

ამიტომ, ისმის კითხვა, ეყოფა თუ არა ბრიტანეთის მთავრობას გამბედაობა და სიმტკიცე, რომ რეფორმები რეალურად გაატაროს ცხოვრებაში. სასწორზე ქვეყნის ბედი დევს. თუ რეფორმები ჩავარდა, კრიზისი გაღრმავდება. შედეგები კი, წინასწარაა ცნობილი.

თუ არა და, რა ჯობია ამას, კიდევ ერთხელ მიგვითითებს დიდი ბრიტანეთი განვითარების სწორ გზაზე.

იორდანია, უპირველეს ყოვლისა!..

რა უცნაური და საინტერესოა, რომ სამყაროს, ამ გაძანებული დემოკრატიის ხანაში, მონარქიები შემორჩა, როგორც სახელმწიფოს მართვის ფორმა. ცოტა, მაგრამ მაინც! მათ შორის, ყველაზე ძველებური, მდიდრული, პომპეზური, ჟეშმარიტად მეფური და ტრადიციული დიდი ბრიტანეთის სამეფოა, თუმცა უუფლებო და ფორმალური, რადგან, მოგეხსენებათ, დიდი ბრიტანეთი კონსტიტუციური მონარქიაა. ახლანდელ სამეფოთა შორის ისეთებიცაა, რომელსაც ნამდვილი მეფე მართავს, მაგალითად, იორდანიის სამეფო.

მართალია, ისიც კონსტიტუციურ მონარქიად ითვლება, მაგრამ იქ მეფე გაცილებით მეტი რეალური უფლებით სარგებლობს, ვიდრე ბრიტანეთში. მოდი, ასე ვთქვათ: დე იურე არის კონსტიტუციური მონარქია, ფაქტობრივად კი, ქვეყანას 1946 წლიდან ჰაშიმიტების დინასტია მართავს. ოფიციალურად ასე ჰქვია: იორდანიის ჰაშიმიტური სამეფო. ქვეყნის მეფე აბდულა მეორე გახლავთ. იორდანიას ხშირად მოიხსენიებენ როგორც ახლო აღმოსავლეთის სტაბილურობის ოაზისს და ამაში დიდი წვლილი სწორედ სამეფო ოჯახს მიუძღვის. ეს პატარა ახლოაღმოსავლური ქვეყანა, რომლის ტერიტორიის 90 პროცენტი უდაბნოა, თავისი ცხოვრების დონითა და ეკონომიკით ერთერთი გამორჩეული სახელმწიფოა არაბულ ქვეყნებს შორის. მისი სახელი მდინარე იორდანეს უკავშირდება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, ისაა, რომ მისი ისტორიული სანახები ჩვენი ცივილიზაციის უმდიდრეს მატეანეს წარმოადგენს. იორდანიის ახლანდელი მეფე აბდულა II ბინ-ალ ჰუსეინი, 1962 წელს დაიბადა. ის იორდანიის განთქმული მეფის, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ქარიზმატული ლიდერის, ჰუსეინის პირმშოა. აბდულას დედა ანტუანეტ გარდინერი ინგლისელი იყო. მან მეფე ჰუსეინი ცნობილი ფილმის „ლოურენს არაბიელის“ გადაღების დროს გაიცნო. ერთმანეთი პირველი დანახვისთანავე შეუყვარდათ. მოგვიანებით, ანტუანეტამ მაჰმადიანობა მიიღო და იორდანიის მეფეს ცოლად გაყვა, რის შემდეგ, ანტუანეტა დედოფალი მუნა-ალ-ჰუსეინი გახდა. წყვილს ოთხი შვილი შეეძინათ. აბდულა უფროსი ვაჟია. 1972 წელს მეფე ჰუსეინი დედოფალ მუნას გაშორდა. აბდულა და მისი ძმები მამასთან იზრდებოდნენ, სამეფო სასახლეში. მეფისწულმა დაწყებითი განათლება ამანის ისლამურ კოლეჯში მიიღო, შემდეგ, სენტ-ედმუნდის სკოლაში სწავლობდა ინგლისში და, მოგვიანებით, ამერიკის იგლბრუკის სკოლაში განაგრძო სწავლა.

ტრადიციულად, ახლო აღმოსავლეთის მონარქები სამხედრო ხელოვნებას დიდი ბრიტანეთის სანდჰერსტის სამხედრო აკადემიაში ეუფლებიან ხოლმე. აბდულა მეორემაც იგივე სასწავლებელი დაამთავრა ლეიტენანტის წოდებით და ბრიტანულ არმიაში ერთწლიანი სამსახური გაიარა. მოგვიანებით, ოქსფორდში სწავლობდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. მაგისტრის ხარისხი პრინცმა ვაშინგტონში, ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტზე დაიცვა, რის შემდეგ ის იორდანიაში დაბრუნდა, რომ თავისი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ემსახურა. ორი წლის განმავლობაში, პრინცმა სამხედრო ოფიცრის ყველა საფეხური გაიარა, მეთაურობდა სხვადასხვა სამხედრო დანაყოფს, სატანკოთი დაწყებული, იორდანიის სპეცდანიშნულების ძალებით დამთავრებული. 1998 წელს, პრინც აბდულას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. ის ხშირად დაჰყვებოდა მამას საზღვარგარეთ დიპლომატურ შეხვედრებზე. აბდულა იორდანიის მონარქის უფროსი ვაჟიშვილი კი იყო, მაგრამ ტახტის მემკვიდრე, კანონით, ჰუსეინის ძმა, პრინცი ჰასანი, გახლდათ. 1996 წელს, იორდანიის მეფე ჰუსეინს კიბოს დიაგნოზი დაუსვა. მკურნალობას ამერიკაში გადიოდა. მონარქმა თავისი გადაწყვეტილებით ყველა გააოცა. მან ძმას ტახტის მემკვიდრის წოდება ჩამოართვა და თავის შვილს გადაულოცა. მეფის საქციელმა თავად პრინციც კი გააკვირვა. მას ხომ ტახტის მემკვიდრედ არ ზრდიდნენ! ასე თქვა მეფემ: ჩემი ძმა და მისი გარემოცვა კორუფციაში ჩაეფლნენ და დროა, ახალმა თაობამ მიხედოს ქვეყანასო. ამის შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია. 1999 წლის 7 თებერვალს, ჰუსეინი გარდაიცვალა. გარდაცვალებიდან რამდენიმე საათში, იორდანიის პარლამენტმა ქვეყნის ახალ მეფედ უფლისწული აბდულა გამოაცხადა, რომელმაც გამეფების პირველივე დღიდანვე დაიწყო რეფორმების გატარება. მან თავი გამოიჩინა, როგორც ქვეყნის ლიბერალური სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების, პროგრესული ტექნოლოგიებისა და განათლების აქტიური განვითარების მიმდევარმა. პოლიტიკური რეფორმების ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობდა ლოზუნგით „იორდანია უპირველეს ყოვლისა“, აქცენტი გაკეთდა იმ პროცესების გააქტიურებაზე, რომელიც ხელს უწყობდა საზოგადოების კონსოლიდაციას. ასე უთქვამს ერთხელ, ჩვენი ბოლო საუკეთესო შანსი მშვიდობის ძიებააო ხიფათის ჟამს. მეფე აბდულა II-ის დროს იორდანია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მიიღეს. მან ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრ ქვეყნებთან და თექვსმეტ არაბულ ქვეყანასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების რატიფიცირება მოახდინა. მეფე ხელს უწყობდა სამოქალაქო თავისუფლებების განვითარებას. გარდა ამისა, იგი ჩართული იყო კანონმდებლობის შემუშავებაში, რომელიც იორდანიელ ქალთა სრულ თავისუფლებას უზრუნველყოფდა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. საგარეო პოლიტიკაში, აბდულა II მხარს უჭერს პარტნიორობის განვითარებას ამერიკასთან, ევროკავშირთან და სპარსეთის ყურის ქვეყნებთან. 1996 წლიდან, ამერიკა იორდანიის სტრატეგიული პარტნიორია. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში იორდანია მუდამ პალესტინის მხარეს დგას. ეს არც არის გასაკვირი, რადგან იორდანიის მოსახლეობის 50 პროცენტი პალესტინელი ლტოლვილებია.

2011 წელს, არაბული გაზაფხულის მასობრივი დემონსტრაციები იორდანიასაც მოედო. მეფემ თავისი დიპლომატიური ნიჭითა და პოლიტიკური გამჭრიახობით შესძლო მოსახლეობის დაშოშმინება, მაგრამ მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მან ხალხს შეპირებული რეფორმები მხოლოდ ნახევრად გაატარა. ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა უმუშევრობას, კორუფციასა და ნეპოტიზმს უჩივის. 2021 წლის ივლისში იორდანიის უშიშროების ძალებმა რამდენიმე დიდგვაროვანი პირი დააკავეს. დაჭერილთა სიაში იყო მეფის ძმა და ტახტის მემკვიდრე პრინცი ჰამზა ბინ ალ-ჰუსეინი. მას და სხვა დიდგვაროვან პირებს ბრალი ამბოხებაში დასდეს.

აბდულას მართველობით უკმაყოფილო პირებმა მეფის ჩამოგდება და მისი ძმის მეფედ გამოცხადება მოინდომეს. მოგვიანებით, პრინცსა და სხვა პირებს დაკავება შინა პატიმრობით შეუცვალეს. რამდენიმე დღის შემდეგ, პრინცმა მეფეს წერილობით პატიება სთხოვა და ერთგულება დაუდასტურა. მან, ასევე, უარი თქვა ტახტის მემკვიდრის წოდებაზე. მეფემ ყველაფერი აპატია მეამბოხე ძმას. ტახტის მემკვიდრის წოდება კი, თავის უფროს ვაჟიშვილს გადასცა. მეფე აბდულა 1993 წელს დაქორწინდა. მისი მეუღლეა დიდგვაროვანი პალესტინელი რანია ფაისალ ალ-იასინია. დედოფალი რანია ქუვეითში გაიზარდა, თუმცა სწავლობდა და მუშაობდა ამერიკაში. 1993 წელს, ის იორდანიაში CITIBANK-ის წარმომადგენლად დაინიშნა. სწორედ ამ პერიოდში გაიცნო მან მეფე. წყვილს ოთხი შვილი ჰყავთ, ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი. მთელ მსოფლიოში დედოფალ რანიას სტილს სამაგალითოდ თვლიან. მან იდეალურად მოახერხა არაბული ტრადიციის ევროპულთან შეხამება. მოდელივით ლამაზი დედოფალი აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მას დიპლომატიურ შეხვედრებზეც ხშირად ნახავთ. 2018 წელს, დედოფალი რანია ერთ-ერთ ოფიციალურ მიღებაზე ქართველი დიზაინერის კაბით გამოცხადდა. დედოფალი აქტიურ სოციალურ ცხოვრებასაც ეწევა....

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

ახალხევის რაიონი საქართველოს სსრ შემადგენლობაში 1954 წ.

ქლუხორისა და ახალხევის რაიონები საქართველოს შემადგენლობაში

ჩეჩნეებისა და ინგუშეების დეპორტაცია

როგორ შეიქმნა ახალხევის რაიონი

საერთოდ, საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მთიან ნაწილში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე გარკვეული დაძაბულობა შეიმჩნეოდა. ჯერ კიდევ 1925 წელს ჩეჩნეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა საქართველოს სსრ-ს, რათა მათთვის გადაეცა მდინარე არღუნის ხეობაში მდებარე ქისტებით დასახლებული სოფლები – ჯარეგო, თერეთეგო, მელხესტი, ცეკარო, სახანო და სხვები. ეს აულები შედიოდნენ თიანეთის მაზრაში. როგორც ჩანს, იმ დროს ოფიციალური თბილისი იოლად დათანხმდა ჩეჩნების თხოვნას. 1927 წელს ქართველ შატილელებსა და ჩეჩენ ჯარეგოელებს შორის საძოვრების გამო დავა წარმოიშვა – ჯარეგოელების აზრით, შატილელებს უფრო მეტი საძოვრები ჰქონდათ, ვიდრე მათ, ამიტომაც სათიბებს დამატებით მოითხოვდნენ. ამჯერადაც დათმობაზე ისევ საქართველო წავიდა... სსრკ ცაკ-ის სპეციალურმა კომისიამ ა.ისლამოვის ხელმძღვანელობით საკითხი სრულიად რუსეთის ცაკ-ის პრეზიდიუმის სხდომაზე გაიტანა და სასწრაფო წესით, 1928 წლის 20 აგვისტოს დაამტკიცა.

შატილელები ძალზე ნაწყენი დარჩნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი. 1939 წელს დავამ ახალი ძალით იფეთქა და როგორც საარქივო წყაროებით ირკვევა, საქმე შეტაკებამდეც კი მისულა. საქართველოს სსრ კომპარტიის დუშეთის რაიკომმა, კონფლიქტის მიზეზების გამოკვლევის შემდეგ, კატეგორიული თხოვნით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცეკას, რათა 1928 წლის დადგენილება გადასინჯულიყო. მიმოწერა თბილისს, მოსკოვს და გროზნოს შორის საკმაოდ გაჭიანურდა, შემდეგ კი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომი დაიწყო...

1944 წლის 7 მარტს მიღებული იქნა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის ლიკვიდაციისა და მისი ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ. მისი პრეამბულა ტრადიციული იყო – სოციალისტური სამშობლოს ღალატი, გერმანელ-ფაშისტებისადმი დახმარება, დივერსიების მოწყობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ასე შემდეგ. ბრძანებულების მეხუთე პუნქტში ნათქვამი იყო: "...შევიდეს საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შემდეგი რაიონები: ყოფილი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-დან – ითუმ-ყალეს რაიონი არსებული საზღვრებით, შაროის რაიონის დასავლეთი ნაწილი; გალანჩეჟის, გალაშკისა და პრიგოროდნის რაიონების სამხრეთი ნაწილი, აგრეთვე ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ის გიზელდონის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი". როგორც სხვა მსგავსი ბრძანებულებები, ეს ნორმატიული აქტიც გაზეთებში არ გამოქვეყნებულა.

რადგან სსრკ-ის ხელმძღვანელებმა ასე გადაწყვიტეს, შესაბამისად, საქართველოს სსრ-ის უმაღლესმა საბჭომაც 1944 წლის 21 მარტს მიიღო დადგენილება ზემოაღნიშნული რაიონების საქართველოსადმი შემოერთების შესახებ, რითაც, ბუნებრივია, გადაწყდა 1920-იანი წლებში წარმოქმნილი ყოველგვარი სადავო საკითხები – ტყეების, საძოვრების და ა.შ. ბრძანებულების მეოთხე პუნქტში ნათქვამი იყო: **„ყოფილი ითუმ-ყალეს რაიონის ცენტრს – სოფელ ითუმ-ყალეს სახელი შეეცვალოს და ეწოდოს ახალხევი“.** იმავე ნორმატიული აქტით ჩრდილოეთ ოსეთის გიზელდონის რაიონისა და ჩაჩნეთ-ინგუშეთის პრიგოროდნის რაიონის სამხრეთი ნაწილები შეუერთდა საქართველოს სსრ ყაზბეგის რაიონს.

გადმოცემულ ტერიტორიებზე ზოგადი წარმოდგენა რომ შეგვექმნეს, გავეცნოთ 1944 წელს შემოერთებულ ორ უმთავრეს გეოგრაფიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს – არმხი-ჯეირახ-ასას ხეობებს და ახალხევს (ითუმ-ყალეს).

არმხ-ჯეირახის ხეობაშია ცნობილი ქართული ქრისტიანული ტაძარი – თხაბა-ერდი, რომელიც მე-12 საუკუნეშია აშენებული საქართველოდან ჩატანილი ქვის ფილებით. ხეობა მდიდარია ინგუშური ისტორიული ძეგლებითაც – აქ არის აული ერზი, რომელიც თავისი კოშკებითაა ცნობილი. გეოგრაფიულად ჯეირახი 1944 წლისათვის სწორედ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ პრიგოროდნის რაიონის სამხრეთ ნაწილს წარმოადგენდა. ჩრდილოეთ კავკასიაში ჯეირახი ახლაც და 40-იან წლებშიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტურისტულ და სამკურნალო-დასასვენებელ ზონად ითვლებოდა, შესაბამისად, ბევრი იყო სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები ფილტვების სნეულებიანი ავადმყოფებისათვის. ხეობაში ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტი იყო სოფელი **ჯეირახი** (არმხი), რომელსაც საქართველოსთან შეერთების შემდეგ სახელი გადაერქვა და ეწოდა **დარიალი**. საერთოდ, ჯეირახის მიმდებარე ადგილებში დღესაც საკმაოდ არის ქართული ტოპონიმებიც, ალბი-ერდისა და თარგიმის ეკლესიების კედლებზე კი შემონახულია ქართული ასომთავრული წარწერები და ფრესკები.

ინგუში მკვლევარების მტკიცებით, **„1944-46 წლებში დაცარიელებული ინგუშეთის გეგმაზომიერი ათვისება მეზობელი რესპუბლიკებიდან ჩასახლებულთა ხარჯზე მიმდინარეობდა. ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელიც ჩრდილო ოსეთს გადაეცა, გადაიყვანეს ოსური ოჯახები საქართველოს სსრ-დანაც (უმეტესად სამხრეთ ოსეთიდან). სხვადასხვა მონაცემებით, საქართველოდან ყოფილ ინგუშეთში დაახლოებით 25-დან 35 ათასამდე ოსი ჩაასახლეს“.**

ახალხევის (ითუმ-ყალეს) რაიონი მდინარე არღუნის ხეობაში, მის შუაწელში მდებარეობდა. რა თქმა უნდა, ქლუხორის მსგავსად, ამ ახალ რაიონშიც ქართული ადმინისტრაცია ჩამოყალიბდა, დაიწყო სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ღონისძიებების გატარება. მხედველობაში იქნა მიღებული, რომ ახალხევი (ითუმ-ყალე), ჯერ კიდევ ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის გაუქმებამდე, რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად სასოფლო-სამეურნეო რაიონს წარმოადგენდა, შესაბამისად, გაფართოვდა სხვადასხვა მარცვლოვანი კულტურის, აგრეთვე კარტოფილის ნათესები, აშენდა მეცხოველეობის ფერმები, მოიმატა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობამ... მოგვიანებით, 1950-იანი წლების დასაწყისში, ახალხევის რაიონი გაუქმდა და მისი ტერიტორია დუშეთის რაიონს შეუერთდა.

ამრიგად, ზოგიერთი საარქივო მონაცემის თანახმად, 1944 წლის ზემოხსენებული ბრძანებულებების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიის ფართობმა მოიმატა თითქმის 76,4 ათასი კვადრატული კილომეტრით, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 26 ათასი ადამიანით. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი ტერიტორიული შენაძენი საქართველოსთვის 1919-1921 წლების შემდეგ, როცა ჩვენს ქვეყანას უკვე დაკარგული ჰქონდა **ლორე და სოჭის, ზაქათალის, ართვინისა და არტაანის ოლქები.**

როგორც ეოგვსეს, ისე წაიღეს...

1944 წელს საქართველოსათვის ჩრდილოკავკასიური ტერიტორიების გადმოცემა საკმაოდ მოულოდნელი გადაწყვეტილება იყო. რამდენად სწორი და სამართლიანი იყო ეს? რამდენად მისაღები და სასარგებლო იყო ჩვენთვის ასეთი საჩუქარი?

ცხადია, იმ პერიოდში ასეთი შეკითხვების დასმას ვერავინ გაბედავდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიების გადმოცემაზე (ფაქტიურად, ჩუქებაზე) უარს ვინ იტყოდა... არადა, ასეთ საჩუქარში იყო რაღაც უხერხული თუ მიუღებელი – სხვათა უბედურების საფუძველზე საკუთარი მდგომარეობით სიხარულის გამოხატვა, რბილად რომ ვთქვათ, მოსაწონი არ უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, ახალი რაიონების მართვა 1940-50-იან წლებში საკმაოდ გაძნელებული იყო – წამოიჭრა ტრანსპორტის, კომუნიკაციების პრობლემა, ახლადშემოერთებული მიწები ბუნებრივი, ძნელად გადასალახავი ბარიერით დაშორებულნი იყვნენ ცენტრს (თბილისს)... საკმარისია აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებული ქლუხორ-სოხუმისა და ქლუხორ-თბილისის ავიამარშრუტი, კავკასიონის ქედზე ამინდის ხშირი ცვალებადობის გამო, დიდი შეფერხებით მუშაობდა. მართალია, აშენდა საავტომობილო გზა ქლუხორის უღელტეხილზე, მაგრამ მასზე ტრანსპორტის მოძრაობას მხოლოდ სეზონური ხასიათი ჰქონდა, ხშირი იყო სატელეფონო და სატრანსპორტო კავშირის დარღვევები ახალხევთანაც და ასე შემდეგ.

იოსებ სტალინის სიკვდილის, განსაკუთრებით კი ლავრენტი ბერიას ლიკვიდაციის შემდეგ, კრემლის კულუარებში დაიწყო საუბარი საქართველოსთვის რუსეთის მიწების გადაცემის უსამართლობის შესახებ, რასაც ორიოდე წელიწადში შესაბამისი იურიდიული აქტიც მოჰყვა. ცხადია, საქართველოს ხელმძღვანელობა წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა ცენტრის გადაწყვეტილებას, თანაც მხედველობაში მიიღო ის, რომ მართლაც არსებობდა ზემოხსენებული ობიექტური სიძნელეები ცენტრისგან მოშორებული რაიონების მართვასთან დაკავშირებით და 1955 წლის 10 მარტს საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო შემდეგი დადგენილება: **„საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მხედველობაში მიიღო რა ქლუხორის რაიონის ტერიტორიული დაშორება საქართველოსთან და მისი მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიური, კულტურული კავშირები რსფსრ სტავროპოლის მხარესთან, აგრეთვე რსფსრ-ის თანხმობა ქლუხორის რაიონის სტავროპოლის მხარესთან მიერთების თაობაზე, დაადგინა: გადაეცეს საქართველოს სსრ ქლუხორის რაიონის ტერიტორია რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას“.**

საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოთ ხსენებული დადგენილების მიღების შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, რომ კრემლში წამოიჭრა საკითხი რეპრესირებული ყარაჩაელი ხალხის რეაბილიტაციისა და მათი მშობლიურ ადგილებში დაბრუნების თაობაზე, რაც მალე განხორციელდა. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ქლუხორის რაიონში მცხოვრები ქართველები ყარაჩაელებს გულთბილად დახვდნენ და ხელი შეუწყვეს ჩვეული ცხოვრების მოწყობაში, ხოლო როცა სვანები და რაჭველები უკან – სვანეთში და რაჭაში დაბრუნდნენ, მათ თავიანთი ეზო-კარი, ბაღები და ბოსტნები უკლებლივ ყარაჩაელებს დაუტოვეს. 1957 წლიდან, რასაკვირველია, კვლავ შეიცვალა რაიონის ტოპონიმიკა – ქლუხორს ეწოდა ყარაჩაევსკი, ახალშენს – კამენომოსტი, მაღარო გადაიქცა ელბრუსად, მთისძირი – კარტ-ჯურთად, ზედვაკე – ხურზუკად, მადნისხევი – უჩკულანად, მზისა – ნიჟნი თებერდად, შუამთა – დაუთად, შერთულა – მარა-აიგად...

თითქმის იგივე პროცესები მიმდინარეობდა ყოფილ ახალხევის რაიონშიც.

1957 წლის 9 იანვარს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჩეჩენი და ინგუში ხალხების რეაბილიტაცია და მათი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის აღდგენა განახორციელა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შემდეგი დადგენილება მიიღო: **„ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის აღდგენასთან დაკავშირებით, დაუბრუნდეს რსფსრ-ს ყაზბეგისა და დუშეთის რაიონების ნაწილი, რომელიც შედგება ყოფილი ითუმ-ყალეს რაიონისაგან, აგრეთვე გალანჩეჟის, გალაშკის, შაროის, პრიგოროდისა და გიზელდონის რაიონების ნაწილებისაგან. ამის შესაბამისად, ჩაითვალოს აღდგენილად საქართველოსა და რუსეთის სფსრ-ის საზღვარი, რომელიც 1944 წლის 7 მარტამდე არსებობდა...“.** ასევე დაუბრუნდა ჩრდილოეთ ოსეთს გიზელდონის რაიონის სამხრეთი ნაწილი.

ისევე როგორც ქლუხორის რაიონში, აქ მცხოვრები ქართველებიც ყველანაირად ეხმარებოდნენ სამშობლოში დაბრუნებულ ინგუშებსა და ჩეჩნებს – დაუტოვეს მეცხოველეობის ფერმები, ბინები, ბაღები... მოკლედ, ყაზბეგისა და დუშეთის რაიონების მათთვის დაბრუნებული ტერიტორიების მთელი სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურა.

სიმონ კილაძე,
ანალიტიკოსი
პაატა კოღუაშვილი,
პროფესორი

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 160

ლეგიონერი

მისაღები მონაგარი

NBA-ს მოსამზადებელ ეტაპზე „მილუოკი ბაქსი" საჩვენებელი მატჩების ჩატარებას აგრძელებს და ამჯერად „ჩიკაგო ბულსს" გაეჯიბრა, რომელთანაც 104:127 დამარცხდა.

კარგი თამაში ჰქონდა **სანდრო მამუკელაშვილს,** რომელმაც პარკეტზე 32 წუთი გაატარა და ორმაგ დუბლამდე ერთადერთი მოხსნა დააკლდა. სანდრომ 13 ქულა, 9 მოხსნა, 4 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა. მამუკელაშვილმა 4-დან 2 ორქულიანი, 5-დან 1 სამქულიანი და 9-დან 6 საჯარიმო ჩააგდო.

„მილუოკი ბაქსი" მორიგ შეხვედრას 13 ოქტომბერს, „ბრუკლინ ნეთსის" წინააღმდეგ ჩაატარებს.

სუპერთასი

30-კაციანი რაზმით

სამკვირიანი შესვენების შემდეგ რაგბი ევროპის საკლუბო ტურნირის, სუპერთასის ჯგუფური ეტაპის მეორე წრე დამდეგ უქმეებზე დაიწყება.

აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფერენციის 4-4 გუნდი, მიჯრით სამი კვირა ითამაშებენ და ნახევარფინალისტების ვინაობას გაარკვევენ.

საქართველოს ჩემპიონი „ბათუმი" 15 ოქტომბერს, 14:30 საათზე რუმინულ „ვულვზს" მასპინძლობს, ხოლო 22-ში „ჰითს" ისრაელში ეთამაშება. თასის მფლობელს და აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერ „შავ ლომს" ორკვირიანი ტურნე ელის. პირველი ქართული ფრენჩაიზი 16-ში ისრაელში, 15 საათზე „ჰითს" ერკინება, 23-ში კი „ვულვზს" ბუქარესტში ეთამაშება. ჯგუფური ეტაპის დასკვნით შეხვედრაში „შავი ლომი" „ბათუმს" 29 ოქტომბერს უმასპინძლებს.

„შავი ლომი" რამდენიმედღიანი დასვენების შემდეგ გასულ კვირაში ქუთაისში შეიკრიბა. მოთამაშეთა ნაწილს ტრავმები აწუხებს და ამიტომ გუნდი ევროპულ ტურნეში 30-კაციანი შემადგენლობით მიდის.

„წვრილ-წვრილი ტრავმები მოგვიმრავლდა. იყო ტვინის შერყევებიც და მოთამაშეებს დასვენება პროტოკოლითაც ეკუთვნოდათ. დასვენების პერიოდში მორაგბეთა გარკვეულმა ჯგუფმა დიდ 10-ში ითამაშა და მზადება 6 ოქტომბრიდან გავაგრძელეთ. 3 დღე მაღალი ინტენსივობის ვარჯიშები გვქონდა, კვირას ბიჭებმა დაისვენეს, ორშაბათიდან კი ვარჯიში განვაახლეთ. პირველი თამაში „ჰითთან" გვაქვს, მზადებას ისრაელში გავაგრძელებთ და რუმინეთში პირდაპირ იქიდან ჩავალთ.

სპორტს იღბალიც ჭირდება. ისე მოხდა, რომ ბოლო თამაშში მეორეხაზელები — მიხეილ ბაბუნაშვილი და გიორგი კერვალიშვილი დაშავდნენ. მერაბ შარიქაძეს გახურებისას კუნთი დაეჭიმა და მისი თამაში აღარ გავრისკეთ. დაშავდა ლაშა ლომიძე და თორნიკე კახოიძეც და სამივე ცენტრი მწყობრიდან გამოვიდა. კახოიძეს, მირიან მოდებაძეს, თენგიზ ზამთარაძეს, თემო ჭიჭინაძეს და გრიგორ ქერდიყოშვილს გრძელვადიანი ტრავმები აქვთ. თორნიკე აქუბარდია და სოსო მათიაშვილი ჯერ კიდევ რეაბილიტაციას გადიან. მოთამაშეთა ნაწილი ისრაელის, ნაწილი კი ბუქარესტის თამაშისთვის დაგვიბრუნდება და წესით საკადრო პრობლემები არ უნდა შეგვექმნას", — აღნიშნა მთავარმა მწვრთნელმა **ლევან მაისაშვილმა.**

სამი თამაშის შემდეგ „შავ ლომს" 12 ქულა აქვს და აღმოსავლეთ კონფერენციას ლიდერობს. მეორე ადგილზე მყოფ „ჰითს" 6 ქულა აქვს. ისრაელის გუნდი ერთადერთია, რომელსაც პირველ წრეში „შავმა ლომმა" ვერ მოუგო — ქუთაისში ფრე — 25:25 დაფიქსირდა.

„ეს არის გამოცდილი, კარგი ინდივიდუალისტებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელიც ირგებს საჩუქრებს. ქუთაისში მათ ყველა ქულა ჩვენი შეცდომების შედეგად აიღეს. ველოდებით პროვოკაციებს, როგორც დისციპლინის, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით. "ჰითს" აწყობს არეული თამაში და ჩვენ მათ სისტემური, დალაგებული თამაში უნდა დავუპირისპიროთ. ვეცდებით იგივე შეცდომები აღარ დავუშვათ", — თქვა მაისაშვილმა.

ექო

ამ საქმეს, როგორც საქართველოში, ასევე ამერიკაში, ძალიან ბევრი სკეპტიკოსი ჰყავდა - კახა შარაბიძე

ნონა გაფრინდაშვილს ღირსება აღუდგა!

— ასე აფასებს იურიდიული ფირმა BLB-ს პარტნიორი კახა შარაბიძე **„ნონა გაფრინდაშვილიVS NETFLIX"**-ის საქმეს. მისი თქმით, აღნიშნულმა დავამ აშშ- ის მართლმსაჯულებაში თავისი კვალი დატოვა.

„ფაქტობრივად, ამ ქეისით ამერიკულ მართლმსაჯულებაში ჩვენი კვალი დავტოვეთ, სადაც მთავარი ფაბულა არის ის, რომ მხატვრული ნაწარმოები პატივის და ღირსების შელახვისთვის თავისუფალ ზონას არ წარმოადგენს. კინოინდუსტრიისთვის ეს იყო პრეცედენტული, ვინაიდან სწორედაც რომ ძალიან ბევრი ამ ინდუსტრიაში მოღვაწე იმ მხარეს მყოფი ინდუსტრიის წარმომადგენლები სხვაგვარად შეხედავენ ამ თემას. უკვე რამდენიმე ანალოგიური სამართლებრივი ქეისი წამოვიდა. ჩვენ გვქონდა საშუალება, რომ ამ ქეისის შექმნაში მთავარი რგოლი ვყოფილიყავით", — აღნიშნა კახა შარაბიძემ.

სერიალში „ლაზიერის გამბიტი" საუბარია იმაზე, რომ ნონა გაფრინდაშვილი არის მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში, თუმცა მას არასდროს უთამაშია კაც მოჭადრაკესთან. ასევე საუბარია იმაზე, რომ ნონა გაფრინდაშვილი არის რუსი მოთამაშე, აღნიშნულმა საკითხმა ნონა გაფრინდაშვილის აღშფოთება გამოიწვია.

„აქ შემოვიდა გენდერული პრობლემა, ეს ბევრმა სექსისტურ განცხადებად მონათლა. აღნიშნული საკითხი სამართლებრივ არგუმენტად გადაქცევისთვის, საკმაოდ რთული მოცემულობა იყო. მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემ გუნდთან ერთად ქართველების და ქალბატონი ნონას ეს გაბრაზება სამართლებრივ არგუმენტად ვაქციეთ და საქმე ბოლომდე მივიყვანეთ, რამაც ქალბატონ ნონას ღირსება აღუდგინა.

პროფესიონალიზმი არის პროფესიონალიზმი და ამ საქმის უკან ჩემი პარტნიორების უზარმაზარი ადამიანური რესურსია, ჩემი ფირმის იურისტების, ჩვენი ამერიკელი კოლეგების უდიდესი წვლილია და ეს არის უმთავრესი", — აღნიშნა კახა შარაბიძემ.

94 წლის ოთარ შონიას ნააზრევი



a b c d e f g h

თეთრები იწყებენ და იგებენ

თრ. 1.მფ c4 2.ე d5 3.კს d1, e1 4.მმ g1, h6 5.ჯჯ b5, d3, e4

შვ. 1.მფ e6 2.ე f4 3.კს b6, h1 4.მმ d7, h5 5.ჯჯ a7, c5, e5, g6

ამოხსნა

1.კ e1-d2 ე f4-f1 2.კ d1-g4+ მფ e6-e7 3.კ d2-g5+ მფ e7-e8 4.ე d5:d7 ე f1:g1 5.ე d7-e7+ მფ e8-f8 6.ე e7-f7+ მფ f8-e8 7.კ g4-d7×

მწვრთნელი

ალეგრი: „გადადგომას არ ვაპირებ"

ტურინის „იუვენტუსის" მთავარმა მწვრთნელმა **მასიმილიანო ალეგრიმ** „მაკაბისთან" 0:2 მარცხის შემდეგ ისაუბრა და გადადგომა გამორიცხა. როგორც მან თქვა, ახლა უფრო მოტივირებულია, რომ კრიზისი დაძლიოს.

„რთულად ასახსნელი სიტუაციაა, უბრალოდ უნდა გავჩუმდეთ. ახლა უნდა დავბრუნდეთ სახლში და უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ, ვიდრე აქამდე ვმუშაობდით, ამ სიტუაციიდან უნდა გამოვიდეთ. ტურინულ დერბიმდე კონტინასაზე დავრჩებით. საჭიროა გავაცნობიეროთ, რომ ეს არ არის ტექნიკური ან ტაქტიკური პრობლემა, ეს გულის და ვნების საკითხია. ჩვენ ძალიან ინდივიდუალურად ვთამაშობთ და არა გუნდურად, ეს არ მომწონს.

მინდოდა გუნდურად გვეთამაშა, კომპაქტურად და პირიქით მოხდა. სამი დღე გვაქვს „ტორინოსთან" მატჩისთვის მოსამზადებლად. ანიელი მართალია, უნდა გვრცხვენოდეს: სეზონში ყველაზე ცუდი პირველი ტაიმი გვქონდა, ახლა ბაზაზე უნდა დავრჩეთ, თვალებში ჩავხედოთ ერთმანეთს, რადგან ასე თამაში სწორი არ არის. გადადგომაზე თუ ვფიქრობ? აბსოლუტურად არა. გამოწვევა, როცა რთულდება, უფრო მიმზიდველი ხდება. ამ სიტუაციიდან სითამამით და ვნებით უნდა გამოვიდეთ", — თქვა ალეგრიმ.

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსმა" ჩემპიონთა ლიგაზე ისტორიაში პირველად წააგო საწყის ოთხ ტურში 3 მატჩი და 3 ქულით მერვედფინალში გასვლის შანსი პრაქტიკულად დაკარგული აქვს. გარდა ამისა, სერია A-ში მერვე ადგილზეა და ლიდერ "ნაპოლის" 10 ქულით ჩამორჩება.

მატება

რაფაელ ნადალს პირველი შვილი შეეძინა

რაფაელ ნადალი მამა გახდა. ესპანურ გამოცემა „მარკას" ინფორმაციით, ჩოგბურთის ვარსკვლავს და მის მეუღლე მერი პერელოს პირველი შვილი მალიორკაში შეეძინათ. გამოცემა წერს, რომ პირველი შვილი ბიჭია და მას მამის სახელს დაარქმევენ.

წყვილი ახლახანს ესპანური მედიის ყურადღების ქვეშ მოექცა. მაშინ წერდნენ, რომ რაფას მეუღლე პალმას ჰოსპიტალში გადაიყვანეს. ამ დროს, ის ფეხმძიმობის 31-ე კვირაში იმყოფებოდა.

ნადალმა, ვისაც ამჟამად რეიტინგში მე-2 საფეხური უკავია, ერთი თვის წინ განაცხადა, რომ რთული რამდენიმე თვე გაატარა, ახლა კი შვილს ელოდება. მაშინ მან აშშ-ის ღია პირველობის მეოთხე წრეში, ამერიკელ ფრენსის ტიაფოსთან წააგო.

„რამდენიმე თვე ყველა მიმართულებით რთული მქონდა, ახლა კი ისევ პროფესიონალურად მივუდგები საქმეს. პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბები მელის. შვილს ველოდები. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად ჩაივლის", — ნიუ იორკში წაგების შემდეგ განაცხადა ნადალმა.

ნადალის და პერელოს ურთიერთობა ჯერ კიდევ 2005 წელს დაიწყო. მათ 14 წელი ერთად იცხოვრეს და 2019 წელს იქორწინეს. რაფამ თავის შეყვარებულს ხელი რომში, არდადეგების დროს სთხოვა.

გმადლობთ, მაშველებო!

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა პირებმა მაშველები მიმდინარე წლის საზღვაო სეზონზე სამაშველო ოპერაციების წარმატებით განხორციელებისა და საკუთარი სიცოცხლის ფასად, ასობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისთვის დააჯილდოვეს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ, როინ ვარშანიძემ და სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის უფროსმა, დავით სუხიშვილმა განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს წყალზე რეაგირების სამმართველოს 2 მაშველს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადეს და სიმბოლური საჩუქრებით დააჯილდოვეს.

სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ — ლაშა თვაურმა კი, აჭარის, გურიისა და სამეგრელოს რეგიონების 10 მაშველს სპეციალური ჯილდოები გადასცა და წარმატებები უსურვა.

2022 წლის საზღვაო სეზონის გახსნიდან დღემდე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა 213 ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს და 117 დაკარგული მოქალაქე იპოვეს. მაშველებმა ტურისტული სეზონის მიმდინარეობისას პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს 62 მოქალაქეს.

ზღვის, მდინარეებისა და ტბების სანაპირო ზოლებზე 320-ზე მეტი მეხანძრე-მაშველი მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყოველდღიურად მორიგეობდა. სეზონური მაშველების ანაზღაურება, წინა წლებთან შედარებით, 25 პროცენტით არის გაზრდილი.

სანთელი

გულნარა ბაშარულის სულთათანა

გონიერი, თავმდაბალი, ზრდილი, სამეგობროს სული და გული, სტუდენტური ჯგუფის სიამაყე, დუშელი ბაშარულების ნებიერა, დედისერთა ვუნდერკინდი, სამი დის ერთი შვილი... დები — სამივენი მწიგნობარნი, დიდებული ბიბლიოთეკის პატრონნი, პედაგოგიკაში გულნარას სიყვარულით დაოსტატებულნი... სითბო, სიკეთე, სიყვარული, თანაკლასელებსა და კურსელებში სწორედ საერთო განათლების დონით გამორჩეული, ლოგიკურად პრინციპული და დამაჯერებელი.

გულიკო ბაშარული, ჩვენი დედაუნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ჯერ ახალგაზრდული ჟურნალ-გაზეთების წამყვანი ჟურნალისტი და სტილისტ-რედაქტორი იყო, შემდეგ „ქალთა გაზეთის“, „კაბადონის“ და „საქართველოს რესპუბლიკის“ განყოფილებათა რედაქტორი. ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის წამყვანი სპეციალისტი გახლდათ.

როგორც ოჯახში ისე სამსახურში გულო ბაშარული შესანატრი პასუხისმგებლობით, პროფესიონალიზმით და ზეადამიანური სიკეთით გამოირჩეოდა. მისი ღიმილიანი, თბილი, იუმორნარევი ურთიერთობა ადამიანებთან მუდამ გვარწმუნებდა იმაში, რომ წუთისოფელი წარმავალია და „სცეთების და სცეთების სიკვდილსა, ვინ არ მოელის წამისად“...

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დაგვტოვა, თუმცაღა, ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე, ის ოჯახის, მეგობრებისა და ახლობლების გულში დარჩება სამუდამოდ! გულო ბაშარულის მსგავსი ადამიანების სახელი თაობიდან თაობებს გადაეცემა...

თანაკურსელები

გულნარა ბაშარულის პანაშვიდი 13, 14 ოქტომბერს, 17 სთ. დაკრძალვა 15 ოქტომბერს 14 სთ; თბილისი, ძმები ზუბალაშვილების 17.

არ შეშინდეთ, სტუდენტებო!

ბინის გაქირავების ფასი შემცირებას დაიწყებს და გაზაფხულზე სულ სხვაგვარი ვითარება იქნება

რუსეთის ფედერაციის მიერ ნაწილობრივი მობილიზაციის გადაწყვეტილების შემდეგ საქართველოში რუსი ვიზიტორების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება. მობილიზაციის გადაწყვეტილებიდან ერთი კვირის განმავლობაში საქართველოში უძრავ ქონებაზე მოთხოვნამ რამდენჯერმე მოიმატა და ეს ტენდენცია კიდევ გრძელდება.

შეძმნილი გარემოება კი ბადებს კითხვას — გაიზრდება თუ არა უძრავი ქონების გაქირავების ფასი?

მართალია, ბაზარზე ჯერ კიდევ აჟიოტაჟია, მაგრამ ანალიტიკოსები და დარგის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება და ქირის ფასიც თანდათან დაიკლებს. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე ზამთარში გადაიდგმება და გაზაფხულზე სულ სხვა მოცემულობა იქნება, ვიდრე დღესაა.

„თიბისი კაპიტალის“ მთავარი ეკონომისტის **ოთარ ნადარაიას** აზრით, **წლის ბოლომდე ბინის ქირაზე ფასები მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდება, თუმცა შემდგომ წლებში უფრო მეტად მისი შემცირებაა მოსალოდნელი. „წელს არ მგონია, რომ ბინების ქირის მაღალ ფასთან დაკავშირებით ვითარება შეიცვალოს, თუმცა უკვე შემდგომ წლებში ვფიქრობ, ასეთი მაღალი გადასახადი ვერ შენარჩუნდება და შესაბამისად, მისი შემცირება იქნება მოსალოდნელი.**

ამ ყველაფრის თქმის საფუძველს მაძლევს ის გარემოება, რომ ქირაზე ასეთი მაღალი მოთხოვნა მუდმივად ვერ შენარჩუნდება. ვიზიტორების ნაწილი საქართველოში არ დარჩება და ქვეყნიდან გავლენ, ხოლო ის ნაწილი, რომელსაც აქ დარჩენა უნდა, უფრო მეტად შეეცდებიან, რომ ბინა იყიდონ და არა იქირაონ“, — აღნიშნა „პალიტრანიუსის“ ეთერში ნადარაიამ.

ბროკერების ნაწილიც ფიქრობს, რომ ბინის დაქირავების ფასი რამდენიმე თვეში დაიკლებს. შეიძლება ეს პროცესი ზამთარშიც კი დაიწყოს, ვინაიდან უკვე შეიმჩნევა რუსი, ბელარუსი და უკრაინელი მოქალაქეების დაბრუნება სამშობლოში, რაც ზამთარში და შემდეგ უკვე გაზაფხულზეც უფრო ინტენსიურ სახეს მიიღებს.

როგორც ბროკერი **იოსებ გამყრელიძე** ამბობს, ამ ეტაპზე გაქირავების ბაზარზე მოთხოვნა შედარებით შემცირდა, მაგრამ ფასები კვლავ მაღალ ზღვარზეა და თანდათან დასტაბილურდება.

„უძრავი ქონების ბაზარზე, განსაკუთრებით ყიდვა-გაყიდვისა და ქირის სეგმენტში წლევანდელ გაზაფხულზე დიდი აჟიოტაჟი იყო, რამაც ფასები თავდაყირა დააყენა. აქამდე დაქირავება საქართველოში ასეთი ძვირი არასდროს ყოფილა. ეს იყო პანიკური სიტუაცია. მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსის გამო ტარიფები რადიკალურად შეიცვალა. დღეს აჟიოტაჟი არ არის, თუმცა მიწოდების მხრივ გარკვეული პრობლემაა, რის გამოც ფასები კვლავ მაღალია.

რა მოხდება ახლო მომავალში? სტუდენტების მხრიდან მოთხოვნა ზამთარში უკვე საგრძნობლად შემცირდება. ომის გამო საქართველოში შემოსული უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც თავიანთ სამშობლოს თანდათან დაუბრუნდებიან (ნაწილი მაინც), რაც ფასებზე იმოქმედებს კლების მიმართულებით. ტენდენცია უფრო ზამთარში გამოიკვეთება. მაქსიმუმ 1 წელი საკმარისი იქნება სტაბილურობისთვის და ამის შემდეგ ბინის დაქირავება უფრო ხელმისაწვდომი გახდება. პარალელურად ახალი ობიექტებიც დაემატება ბაზარს.

ჩვენ 2023 წლის გაზაფხულზე რადიკალურად განსხვავებული ვითარება გვექნება, ვერ გეტყვით, რამდენით შემცირდება ფასი, მაგრამ ეს დროც მალე დადგება. მართალია, ომამდელ ნიშნულს ვერ დაუბრუნდება, მაგრამ სხვაობა იქნება ისეთი, რომ მომხმარებელი რეალურ შეღავათს იგრძნობს“, — აღნიშნა გამყრელიძემ. მისივე ინფორმაციით, ამ ეტაპზე ბაზარზე, ძირითადად, არის დაბალბიუჯეტიანი ბინები და უფრო ქალაქის პერიფერიებში მდებარე უძრავი ქონება.

ბექა დანელია

თურქეთთან ტურიზმის სფეროში თანამშრომლობა გაღრმავდება

სტამბოლში ვიზიტის ფარგლებში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე თამარ ყორიაული თურქეთის „საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის საბჭოში“ შემავალი თურქეთ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე განხილული იყო საქართველოსა და თურქეთს შორის ტურიზმის სფეროში არსებული ურთიერთობების დინამიკა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. საქართველოს მხრიდან შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის უფროსი თინათინ ზოიძე და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საინვესტიციო პოლიტიკისა და ინვესტიციების მხარდაჭერის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვალერიან გვალია.

ღონისძიების ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, მარიამ ქვრივიშვილი თურქეთის სამთავრობო დელეგაციისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა, რომელსაც თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილე ნადირ ალფასლანი ხელმძღვანელობდა. სამუშაო შეხვედრა თურქეთში საქართველოს საელჩოს ჩართულობითა და თანაორგანიზებით გაიმართა.

პაკისტანელს 53 არადეკლარირებული ტელეფონი ჩამოართვეს

საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქის ა.უ.-ს კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული მობილური ტელეფონები (53 ცალი) აღმოაჩინეს, — ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 58 093,14 ლარი შეადგინა.

ჯათარზისი
საერთაშორისო ჰუმანიტარული ჯავშირი (ასოციაცია)
International Humanitarian Union (Association)
Catharsis

ვიწვევთ ასოციაცია „კათარზისის“ თავშესაფარში ცხოვრების მსურველ საპენსიო ასაკის, თვითმოვლის უნარის მქონე ხანდაზმულ ქალბატონებს.

დეტალური ინფორმაციისთვის მსურველები დაგვიკავშირდნენ 10 სთ-დან 18 სთ-მდე. ტელ: 2957876, 558194130

ზაურ (ოლეგ) ალადაშვილი „კათარზისის“ პრეზიდენტი

ძმობისა და მეგობრობის ალამდარი

ნუგზარ შოშიაშვილი – 75



11 ოქტომბერი ნუგზარ შოშიაშვილის დაბადების დღეა, ღირსეული პიროვნება, გამორჩეული თვისებების მატარებელი კაცი, რომელმაც განვლო დიდი ცხოვრებისეული გზა რიგითი გამომძიებლიდან რესპუბლიკის პროკურორის პირველ მოადგილემდე.

ბატონი ნუგზარი უაღრესად კეთილშობილი ადამიანია, საიმედო მეგობარი, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი კაცია. ღირსეული ოჯახის ღირსეული წინამძღოლი ერთგული, მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუაა.

ბატონო ნუგზარ, გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, მრავალი წელი გვენახეთ თქვენი ოჯახის თავკაცად და ქვეყნის სამსახურში. ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის მფარველი.

უდიდესი პატივისცემით
თენგიზ ქავთარაძე

ლეგენდარული ერკიულ პუაროს ეკრანზე ბრუნდება

კენეტ ბრანა ერკიულ პუაროს როლს უბრუნდება. მსახიობი ცნობილ დეტექტივს თრილერში „მოჩვენება ვენეციაში“ განასახიერებს. მასთან ერთად სურათში ჯეიმი დორნანი, ტინა ფეი, მიშელ იეო და ჯუდ ჰილი ითამაშებენ. სურათს საფუძვლად დაედება აგათა კრისტის რომანი „წვეულება ჰელოუინზე. სიუჟეტის მიხედვით, პენსიაზე გასული პუაროო სპირიტიზმის სეანსს ესწრება, სადაც ერთ-ერთ სტუმარს კლავენ.

გადაღებები 31 ოქტომბერს დაიწყება. მთავარ როლთან ერთად ბრანა სურათის რეჟისორიც იქნება. ბრანამ პუაროს როლი უკვე ორ ფილმში შეასრულა: „მკვლელობა „აღმოსავლეთ ექსპრესში“ (2017) და „სიკვდილი ნილოსზე“ (2022).

ვარდისფერი ბრილიანტი აუქციონზე გაიყიდა

Sotheby's-ის მიერ ჰონგ-კონგში გამართულ აუქციონზე უიშვიათესი ბრილიანტი — „უილიამსონის ვარდისფერი ვარსკვლავი“ რეკორდულ ფასად — 49,9 მილიონ დოლარად გაიყიდა.

ამ სილამაზის საწყისი ფასი სულ რაღაც 21 მილიონი დოლარი იყო და ახლა ის ფლორიდელი კოლექციონერის სახლში დაიდებს ბინას. საინტერესოა, რომ ბრილიანტის სახელწოდება ორი სხვა ვარდისფერი ბრილიანტის პატივსაცემად უწოდეს.

პირველი, 23.6-კარატიანი „უილიამსონია“, რომელიც კანადელმა გეოლოგმა, ჯონ უილიამსონმა ბრიტანეთის დედოფალს, ელისაბედ მეორეს ქორწინებისას აჩუქა, ჯერ კიდევ 1947 წელს. მეორე კი — „ვარდისფერი ვარსკვლავი“, ყველაზე ძვირად ღირებული ძვირფასი ქვის, 59.6-კარატიანი ბრილიანტის სახელწოდებაა, რომელიც 2017 წლის აპრილში $71.2 მილიონად გაიყიდა. ვარდისფერი ბრილიანტი ფერად ბრილიანტებს შორის ყველაზე იშვიათია, სწორედ ეს განაპირობებს, რომ მისი ღირებულება რამდენიმე მილიონს აღემატება.

კომპანია „მეტა“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადეს

რუსეთის ფედერალური ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა, აშშ-ის მულტინაციონალური ტექნოლოგიური კომპანია „მეტა“, რომელშიც შედის სოციალური ქსელები „ფეისბუქი“ და „ინსტაგრამი“, ტერორისტულ და ექსტრემისტულ ორგანიზაციათა სიაში შეიყვანა.

მანამდე, 21 მარტს მოსკოვის ტვერსკოეს რაიონულმა სასამართლომ კომპანია „მეტა“ ექსტრემისტულ ორგანიზაციათა სიაში შეიყვანა. მიზეზად კი დასახელდა ის ფაქტი, რომ „მეტას“ მენეჯმენტი უკრაინელებს რუსი სამხედროების წინააღმდეგ ძალადობის მოწოდების უფლებას აძლევს. როგორც „სიენენი“ წერს, „მეტას“ აკრძალვა ბანკებს ავალდებულებს, გაყინონ კომპანიის ანგარიშები და შეწყვიტონ მისი ანგარიშების მომსახურება.

უკრაინის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაახლოებით 30 პროცენტი დაზიანებულია

უკრაინის ენერგეტიკის მინისტრმა, გერმან გალუშჩენკომ განაცხადა, რომ რუსეთის სარაკეტო თავდასხმების შედეგად, უკრაინის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაახლოებით 30%-ი დაზიანდა.

ტელეკომპანია CNN-თან ინტერვიუში უკრაინის ენერგეტიკის მინისტრმა განაცხადა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა ომის დაწყებიდან, როდესაც ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა რუსეთის მნიშვნელოვანი სამიზნე გახდა. მისი თქმით, ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ უკრაინული ელექტროენერგიის ექსპორტი ევროპულ ქვეყნებს რუსული გაზისა და ქვანახშირის დაზოგვაში ეხმარება. მინისტრმა აღნიშნა, რომ უკრაინის ენერგოსისტემა ჯერ კიდევ სტაბილურია, თუმცა პარტნიორებს მოუწოდა, უზრუნველყონ უკრაინა საჰაერო თავდაცვის სისტემებით, რაც ქვეყანას ინფრასტრუქტურის დაცვაში დაეხმარება.

გვიან გაიგებენ მერკელისა და ტრამპის ფასს...

დონალდ ტრამპი ერთადერთია, ვისაც უკრაინაში ომის დასრულება შეუძლია. ანგელა მერკელი რომ კანცლერი იყოს, ომი არ დაიწყებოდა, — ამის შესახებ უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ ორბანმა გერმანიაში ვიზიტის დროს განაცხადა.

უნგრეთის მთავრობის ხელმძღვანელის თქმით, აშშ-ის პრეზიდენტი, ჯო ბაიდენი „ძალიან შორს წავიდა“, როდესაც რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს სამხედრო დამნაშავე უწოდა.

„ეს ძალიან გაურთულებს ბაიდენს, რომ მშვიდობა დაამყაროს. ეს სასტიკად ეღერს, მაგრამ მშვიდობის იმედი დონალდ ტრამპის სახელია“, — განაცხადა ვიქტორ ორბანმა.

მედია იუწყება, რომ უნგრეთის პრემიერ-მინისტრის თქმით, საერთაშორისო საზოგადოებამ ვერ მოახერხა კონფლიქტის იზოლირება, როგორც ეს მოხდა 2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისას, და ორბანმა მაშინდელი მიღწევა გერმანიის ყოფილი კანცლერის, ანგელა მერკელის პოლიტიკურ უნარებს მიაწერა. ორბანმა მიანიშნა, რომ აშშ გახდა ომის მხარე კიევისთვის ფულის, იარაღის მიწოდებით და ომი გაგრძელდება იქამდე, ვიდრე უკრაინა გააგრძელებს ამერიკის მხარდაჭერის მიღებას.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ომის შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ რუსეთსა და აშშ-ს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გზით, ვიდრე რუსეთსა და უკრაინას შორის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალ-გაზეთი №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 17 ოქტომბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7920; ევრო - 2.7105
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0877;
100 რუბლი - 4.4354; თურქული ლირა - 0.1502;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6460;
1000 სომხური დრამი - 6.9220.

ამინდი 13 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+17
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	+2	დღე	+21
თბილისი:	ღამე	+8,	დღე	+19

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge